პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი
ხუთშაბათი
29 იანვარი
№ 24 (17966)
ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვახორციელოთ საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი!

ღირსეულად შევხვდეთ სკკპ XXVI ყრილობას!




საქართველოს სსრ მშრომელთა 1981 წლის სოციალისტური ვალდებულებანი

საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე ვადამდე შეასრულეს მეათე ხუთწლედის დავალებანი და სოციალისტური ვალდებულებანი რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეტი წილი ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით.

რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების მშრომელები, რომლებიც აღფრთოვანებული არიან მეათე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებასთან დაკავშირებით საქართველოს ყველა მშრომელისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებით და რომლებმაც უფრო ფართოდ გაშალეს საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, **კისრულობენ შემდეგ სოციალისტური ვალდებულებებს:**

ვადამდე, 1981 წლის 28 დეკემბრისათვის შეასრულონ სამრეწველო წარმოების გეგმა, წლის მანძილზე 5 პროცენტით გაადიდონ წარმოების მოცულობა, გეგმით გათვალისწინებული 4,9 პროცენტის ნაცვლად.

ამის მისაღწევად მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს აწარმოონ 85 მილიონი მანეთის ზეგეგმითი სამრეწველო პროდუქცია.

გეგმის დამატებით გამოუშვან შემდეგ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქცია:

ფოლადი — 2 ათასი ტონა
შავი ლითონების ნაგლინი — 2 ათასი ტონა
ფოლადის მილები — 1,2 ათასი ტონა
მანგანუმის მადანი — 20 ათასი ტონა
ნავთობი — 10 ათასი ტონა
ქვანახშირი — 20 ათასი ტონა
მინერალური სასუქები — 10 ათასი ტონა
სინთეზური ამიაკი — 2 ათასი ტონა
„კაზ-608 ვ" მარკის სატვირთო ავტომობილები — 30 ცალი
ცემენტი — 3.000 ტონა
შიფერი — 100 ათასი პირობითი ფილა
გამდიდრებული ინერტული მასალები — 30.000 კუბური მეტრი
შეკერილი ნაწარმი — 1 მილიონი მანეთისა
აბრეშუმის ქსოვილი — 160 ათასი გრძივი მეტრი
საფეიქრო-საგალანტერეო ნაწარმი — 200 ათასი მანეთისა
ბაიხაო ჩაი — 1 000 ტონა
ყურძნის ღვინო — 50 ათასი დეკალიტრი
ხილის კონსერვი — 500 ათასი პირობითი ქილა
მინერალური წყლები — 3 მილიონი ბოთლი

გაადიდონ შრომის ნაყოფიერება 1980 წელთან შედარებით:

— მრეწველობაში 3,5 პროცენტით;
— სოფლის მეურნეობაში 2,8 პროცენტით;
— მშენებლობაში 3,5 პროცენტით.

მრეწველობაში პროდუქციის მატების 72 პროცენტი მიიღონ შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

ამ მიზნით:

— უზრუნველყონ საწარმოთა უპირატესი განვითარება საწარმოთა ტექნიკური განახლების გზით და ამ საფუძველზე მიიღონ წარმოების მოცულობის მატების სულ ცოტა 50 პროცენტი;

— მოაწყონ მუშაობა შრომის ორგანიზაციის კოლექტიური ფორმების ყოველმხრივ დანერგვისათვის;

— სისტემატურად სრულყონ წარმოების ორგანიზაცია და კულტურა, დანერგონ შრომის მეცნიერული ორგანიზაცია;

— დანერგონ წარმოებაში სულ ცოტა 26,5 ათასი რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა წლიური ეკონომიკური ეფექტი 70 მილიონი მანეთი იქნება.

ყველგან გაავრცელონ ფოთის ჰიდრომექანიზმების მანქანათსაშენებელი ქარხნის შრომითი კოლექტივის ინიციატივა—მიიღონ საწარმოო ფართობის თითოეულ კვადრატულ მეტრზე პროდუქციის მაქსიმალური ანართმი; თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის და ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნისა — „უზრუნველყონ პროდუქციის მატება მინიმალური კაპიტალური დაბანდებით მოქმედ სიმძლავრეთა რეკონსტრუქციის გზით"; თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადისა, რომელსაც ხელმძღვანელობს სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხანაგი გ. ნ. კურტანიძე, — „ამაღლონ წარმოების ეფექტიანობა და მუშაობის ხარისხი თითოეულ სამუშაო ადგილზე" და სხვ.

გააქტიურონ მუშაობა ლითონის, სათბობ-ენერგეტიკული და სხვა რესურსების გამოყენებაში მომჭირნეობის რეჟიმის გასაძლიერებლად.

1981 წლისათვის დადგენილ ნორმატივებთან შედარებით შეამცირონ ხარჯვა:

— საქვაბე-სალუმელე სათბობისა შემოდგომა-ზამთრის პერიოდში სულ ცოტა 3 პროცენტით, ხოლო წლის შედეგების მიხედვით — 5 პროცენტამდე;

— ელექტროენერგიისა შემოდგომა-ზამთრის პერიოდში სულ ცოტა 5 პროცენტით, ხოლო წლის შედეგების მიხედვით — 3 პროცენტამდე;

— ლითონისა მთლიანად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში 1 პროცენტით.

გაშალონ მუშაობა მეორეული ნედლეულის გამოსაყენებლად.

ჩაის მრეწველობაში მეორეული ნედლეულისა და ნარჩენებისაგან დაამზადონ 2000 ტონა სრულფასოვანი ჩაის კონცენტრატი და 5 მილიონი ბოთლი მატონიზებელი სასმელი „ბახმარო".

სახალხო მოხმარების საქონლით მოსახლეობის უფრო სრული უზრუნველყოფის მიზნით განახორციელონ ღონისძიებათა სისტემა, რათა კიდევ უფრო გაიზარდოს მათი წარმოება, გაუმჯობესდეს ხარისხი და გაფართოვდეს ასორტიმენტი. გეგმის გადამეტებით აწარმოონ 42 მილიონი მანეთის მასობრივი მოთხოვნის საქონელი.

ხალხური სარეწების განვითარების მეშვეობით აწარმოონ 15,5 მილიონი მანეთის პროდუქცია.

დარაზმონ საწარმო-ორგანიზაციათა კოლექტივები ყველა სახეობის პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის ბრძოლის კიდევ უფრო გასაძლიერებლად.

ვადამდე აითვისონ უმნიშვნელოვანეს ახალ სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოება:

— „კოლხეთის" ტიპის წყალქვეშა ფრთიანი გემებისა;

— სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხებისა;

— „რიკოთი-1" და „რიკოთი-2" ტიპის სატვირთო ბაგირგზების მოწყობილობის კომპლექსებისა;

— უკონტაქტო ელემენტებით მოქმედი სატვირთო-სამგზავრო გზის ამძრავის ავტომატიზებული მართვის სისტემებისა;

— ნატურალური თხევადი ჩაის კონცენტრატისა;

— დეკორატიული კერამიკული ფილებისა და სერნოგრაფიულ საფარიანი ფილებისა.

— ორი სახეობის საყოფაცხოვრებო ავეჯისა;

— პოლიმერული მოსაპირკეთებელი მასალის — პოლიდეკორისა.

შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება და მიიღონ რესპუბლიკაში 4 მილიონ მანეთამდე ზეგეგმითი მოგება.

ყველა სახეობის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის შემდგომი განვითარებისა და მათი გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების გზით მიაღწიონ იმას, რომ სრულად და დროულად დაკმაყოფილდეს სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილება ტვირთზიდვაზე, ამაღლდეს სატრანსპორტო სისტემის მუშაობის ეფექტიანობა და ხარისხი.

გადიდდეს ტვირთზიდვა:

— რკინიგზის ტრანსპორტზე — 1,8 პროცენტით
— საავტომობილო ტრანსპორტზე — 2,8 პროცენტით
— საჰაერო ტრანსპორტზე — 1,5 პროცენტით

ამის მეშვეობით უზრუნველყონ:

— მატარებლების მოძრაობის სიჩქარის გადიდება;

— დღე-ღამის განმავლობაში სატვირთო ავტომობილების მუშაობა;

— ვაგონების მოცდენის შემცირება როგორც სადგურებში, ისე მისასვლელ გზებზე:

— გაგზავნონ გეგმის გადაჭარბებით 900 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი;

— ყველა სახეობის ტვირთზიდვის წლიური გეგმა შეასრულონ 28 დეკემბრისათვის;

— გაზარდონ რკინიგზიდან საავტომობილო ტრანსპორტზე გადაყვანილი მოკლე გარბენებიანი ტვირთზიდვის მოცულობა.

ყოველნაირად განავითარონ თბილისის № 4 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ე. ახალკაციშვილის მძღოლთა ბრიგადის ინიციატივა — „ყოველ ავტომობილზე გამომუშავების გადიდების მეშვეობით — ხუთწლედი — ოთხ წელიწადში!"

გადაჭარბებით შეასრულონ საზღვარგარეთ ნაოსნობაში ტვირთზიდვის წლიური გეგმა და დამატებით მიიღონ 150 ათასი მანეთი მოგება.

ნავსადგურებში გადაამუშაონ გეგმის გადაჭარბებით 125 ათასი ტონა ტვირთი.

კავშირგაბმულობის ძირითადი საქმიანობის მუშაკთა შრომის ნაყოფიერება გაზარდონ 1 პროცენტით გეგმის გადამეტებით:

— გახსნან კავშირგაბმულობის 10 ახალი განყოფილება;

— გეგმის გადამეტებით დადგან 1000 რადიოწერტი;

— ვადამდე, 7 ნოემბრისათვის გადასცენ საექსპლოატაციოდ ბათუმში 2000-ნომრიანი ავტომატური სატელეფონო სადგური.

სოფლის მეურნეობის დარგში 1981 წელს მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის მოცულობა გაზარდონ:

მარცვლეულისა — 172 ათას ტონამდე
კარტოფილისა — 175 ათას ტონამდე
ბოსტნეულისა — 333 ათას ტონამდე
ხილისა — 480 ათას ტონამდე
შაქრის ჭარხლისა — 120 ათას ტონამდე
ბაღჩეულისა — 16 ათას ტონამდე
ხარისხოვანი ჩაის ფოთლისა — 450 ათას ტონამდე
ყურძნისა — 730 ათას ტონამდე
ციტრუსებისა — 180 ათას ტონამდე
ხორცისა — 148 ათას ტონამდე
რძისა — 283 ათას ტონამდე
კვერცხისა — 477 მილიონ ცალამდე
მატყლისა — 5,6 ათას ტონამდე

გაადიდონ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობებში:

მარცვლეულისა — 742 ათას ტონამდე
კარტოფილისა — 450 ათას ტონამდე
ბოსტნეულისა — 585 ათას ტონამდე
ყურძნისა — 900 ათას ტონამდე
ციტრუსებისა — 220 ათას ტონამდე
პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდა — 228 ათას ტონამდე
რძის წარმოება — 685 ათას ტონამდე
მატყლისა — 5,7 ათას ტონამდე
კვერცხისა — 780 მილიონ ცალამდე

ჯოგის სტრუქტურის გაუმჯობესების, მოზარდეულის მომრავლებისა და გამოზრდის უკეთესი ორგანიზაციის, სანაშენე და ზოოტექნიკურ-სავეტერინარო მუშაობის გაუმჯობესების გზით წლის დამლევამდე საზოგადოებრივ მეურნეობებში გაადიდონ:

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა — 665 ათას სულამდე;
მათ შორის ძროხისა — 195 ათას სულამდე;
ღორისა — 420 ათას სულამდე.

მიაღწიონ პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებას, საზოგადოებრივ მეურნეობებში ერთი ძროხის საშუალო ნაწველი გაზარდონ 1.730 კილოგრამამდე, მოქცეულის საშუალო მეკვერცხულობა — 170 ცალამდე. ცხვრის საშუალო ნაპარსი — 2,4 კილოგრამამდე. სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საშუალო ჩასაბარებელი წონა გაადიდონ 280 კილოგრამამდე, ღორისა — 100 კილოგრამამდე. გააუმჯობესონ დასამზადებელი მეცხოველეობის პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლები, გაზარდონ პირველი ხარისხის რძის ხვედრითი წილი 72 პროცენტამდე, უმაღლესი და საშუალო ნასუქობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 90 პროცენტამდე.

გაზარდონ საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის საკვების დამზადების მოცულობა:

სულ უხეში საკვებისა — 2065 ათას ტონამდე
თივისა — 710 ათას ტონამდე
სენაჟისა — 905 ათას ტონამდე
სხვა უხეში საკვებისა — 450 ათას ტონამდე
ძირხვენებისა — 153 ათას ტონამდე
ბალახის ფხვნილისა — 54 ათას ტონამდე
სილოსისა — 1 მილიონ ტონამდე

სრულყონ რაიონული რგოლის სასოფლო-სამეურნეო ქვეგანაყოფთა ხელმძღვანელობის სტრუქტურა, ამასთან გაითვალისწინონ ამ მიმართულებით უკვე შეძენილი დადებითი გამოცდილება.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მისი მომსახურე მრეწველობის დარგებისა და კვების ინდუსტრიის, აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადებასთან, შენახვასთან, ტრანსპორტირებასა და გადამუშავებასთან დაკავშირებული წარმოებების შემდგომი ზრდის საფუძველზე განავითარონ აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსი.

1981 წელს ააშენონ, განაახლონ და საექსპლოატაციოდ გადასცენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადასამუშავებელი ახალი სიმძლავრენი, რომელთა მწარმოებლობა იქნება:

ჩაისა — წელიწადში 41 ათასი ტონა:
ყურძნის პირველადი გადამუშავებისა — 100 ათასი ტონა;

საკონსერვო მრეწველობაში ბოსტნეულისა და ხილისა — 38 მილიონი პირობითი ქილა.

უზრუნველყონ, რომ ვადამდე გადაეცეს საექსპლოატაციოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების უმნიშვნელოვანესი ობიექტები:

— გომარეთის მოზარდეულის გამოსაზრდელი მეცხოველეობის კომპლექსი;

— ეგრისის რძის საწარმოების მეცხოველეობის კომპლექსი;

— კრწანისის სასათბურე კომბინატი;
— თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკა;
— დუშეთის კვერცხის მიმართულების სახელმწიფო სანაშენე;

მებოცვრეობის კომპლექსები თეთრ წყაროსა და სვირში.

განავითარონ წითელწყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკთა ინიციატივა — „ყოველნაირად ავამაღლოთ მიწათმოქმედების კულტურა და ამ საფუძველზე მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყოველი ჰექტარი მიწა", თეთრი წყაროს რაიონის სოფლის მშრომელებისა და რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო პროფილის სამეცნიერო ორგანიზაციათა ინიციატივა — „წარმოებისა და მეცნიერების მთელი მეცადინეობა მოვახმაროთ მეთერთმეტე ხუთწლედში სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დონის მაქსიმალურ ამაღლებას".

კაპიტალური მშენებლობის დარგში შეასრულონ სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა 1981 წლის 26 დეკემბრისათვის.

ააშენონ და წლის დამლევამდე საექსპლოატაციოდ გადასცენ 10 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობი დადგენილი გეგმის გადაჭარბებით, ამასთან უზრუნველყონ საცხოვრებლის აუცილებელი მარაგნამეტი 1982 წლისათვის.

ვადამდე აამოქმედონ სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებების ხარჯზე შემდეგი უმნიშვნელოვანესი საწარმოო სიმძლავრენი:

— ამიაკის ახალი სიმძლავრენი რუსთავის ქიმიურ ქარხანაში;

— მანგანუმის მადნეულის მოპოვების ახალი სიმძლავრენი ჭიათურაში;

— ტრიკოტაჟის საცვლების ფაბრიკა ცხინვალში;

— შეასრულონ სამუშაოები საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" საამქროთა რეკონსტრუქციისათვის;

— ახალი საწარმოო სიმძლავრენი ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში.

განაგრძონ იმ პროგრამის განხორციელება, რომლის მიზანია შავი და კასპიის ზღვების აუზების გაჭუჭყიანების თავიდან აცილება, ამასთან უთუოდ უზრუნველყონ დაგეგმილ სიმძლავრეთა საექსპლოატაციოდ გადაცემა დადგენილ ვადაში.

განაგრძონ კურსი, რომლის მიზანია მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შემდგომი კონცენტრაცია საცხოვრებელი სახლების, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების, პროფტექნიკური სასწავლებლების, საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების, უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო სიმძლავრეების ასამოქმედებელ ობიექტებზე.

ობიექტების სულ ცოტა 85 პროცენტი ჩააბარონ არანაკლებ „კარგი" შეფასებით.

განაგრძონ ბრიგადული იჯარის შემდგომი დანერგვა და ამ მეთოდით მოიცვან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა საერთო მოცულობის სულ ცოტა 50 პროცენტი. ფართოდ განავითარონ შრომის ანაზღაურების აკორდული სისტემა.

უზრუნველყონ კომუნალური მეურნეობის შემდგომი განვითარება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საბინაო ფონდისა და კომუნალური დანიშნულების ობიექტების ექსპლოატაციის დროს ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას. 26 დეკემბრამდე შეასრულონ საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის გეგმა.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის გეგმა შეასრულონ ვადამდე 28 დეკემბრისათვის. შეამცირონ სახელმწიფო ვაჭრობის საცალო ქსელში საქონლის ზენორმატიული მარაგი 4 მილიონი მანეთით. საზოგადოებრივ კვებაში პროდუქციის გამოშვების გეგმები შეასრულონ 1,1 მილიონი მანეთის, აქედან სამომხმარებლო კოოპერაციაში — 600 ათასი მანეთის გადაჭარბებით.

სახელმწიფო ვაჭრობის სისტემაში თვითმომსახურების მეთოდით საქონლის გაყიდვა გაზარდონ საქონელბრუნვის საერთო მოცულობის 56 პროცენტამდე. გაადიდონ წინასწარი შეკვეთებით სასურსათო საქონლის გაყიდვის მოცულობა 10 პროცენტამდე, შინ სადილის გაცემა — 15 პროცენტამდე.

სამომხმარებლო კოოპერაციაში თვითმომსახურების მეთოდით საქონლის გაყიდვის ხვედრითი წილი საქონელბრუნვის საერთო მოცულობაში გაზარდონ 85 პროცენტამდე. კოოპერაციული მრეწველობის საწარმოებში გამოუშვან 5,5 მილიონი მანეთის ზეგეგმითი სახალხო მოხმარების საქონელი. მოამზადონ სულ ცოტა 4 ათასი მასობრივი პროფესიის მუშაკი.

საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის საგეგმო დავალებანი შეასრულონ 28 დეკემბრისათვის და რესპუბლიკის მოსახლეობას გეგმის გადაჭარბებით გაუწიონ დაახლოებით მილიონი მანეთის მომსახურება, აქედან **საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემაში** — 500 ათასი მანეთისა.

უპირატესი ტემპით განავითარონ სოფლის საყოფაცხოვრებო მომსახურება, მაქსიმალურად მოიცვან სოფლები კომპლექსური მიმღები პუნქტებით.

მეცნიერული კვლევის ეფექტიანობის ამაღლებისა და წარმოებაში მეცნიერების მიღწევათა დანერგვის საფუძველზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების შედეგად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ორგანიზაციები ვალდებულებას კისრულობენ:

— შეიმუშაონ და საწარმოო გაერთიანება „საქნავთობს" გადასცენ სამგორ-პატარძეულის ნავთობის საბადოს ნავთობის ჭაბურღილების ბურღვისა და დამუშავების ტექნოლოგიის გაუმჯობესების რეკომენდაციები;

— ხელი შეუწყონ რაჭის სამთო-მეტალურგიული კომბინატის მამდიდრებელ ქარხანას დარიშხანის მადნის გამდიდრების ახალი ტექნოლოგიის დანერგვაში;

— თევზის პროდუქტიულობის გადიდების რეკომენდაციების შემუშავების მიზნით განსაზღვრონ სალამოს ტბის ფიტოპლანქტონის პირველადი პროდუქცია;

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სისტემაში:

— უზრუნველყონ რესპუბლიკის მოსახლეობის სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების შემდგომი გაუმჯობესება, აამაღლონ მოსახლეობის დისპანსერიზაცია და გააუმჯობესონ მისი ეფექტიანობა;

— მიაღწიონ საავადმყოფო საწოლის გაუმჯობესებასა და რაციონალურ გამოყენებას;

— გააუმჯობესონ რესპუბლიკის მოსახლეობისა და სამედიცინო დაწესებულებების უზრუნველყოფა სამედიცინო საქონლითა და მოწყობილობით.

საქართველოს პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს სისტემაში;

— უზრუნველყონ ჯანმრთელობის კერების მაღალხარისხოვანი მომზადება საკურორტო სეზონისათვის. მათი გამტარუნარიანობა გაზარდონ 478 ათას კაცამდე, მათ შორის საოჯახო დასვენების კერებისა — 37.200 კაცამდე;

— ვადამდე, 20 დეკემბრისათვის უზრუნველყონ პროფკავშირული საკურორტო ობიექტებისა და დამხმარე მეურნეობების კაპიტალური მშენებლობის, რემონტისა და კეთილმოწყობის სახსრების ათვისება.

საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს სისტემაში:

— გაუწიონ ტურისტებსა და ექსკურსანტებს 400 ათასი მანეთის ზეგეგმითი მომსახურება. წლიური გეგმის გადამეტებით მოემსახურონ 50 ათას ექსკურსანტს;

— 200 ათასი მანეთის გადაჭარბებით შეასრულონ კაპიტალური დაბანდების გეგმა.

საგამომცემლო საქმიანობაში — ლიტერატურის გამოშვების გეგმა შეასრულონ 1981 წლის 24 დეკემბრისათვის. 20 ივნისისათვის დაამთავრონ ახალი სასწავლო წლისათვის საშუალო-ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელმძღვანელოების გამოშვება. დაზოგონ 20 ტონა ქაღალდი და გეგმის გადამეტებით გამოუშვან 2,0 მილიონი თაბახი ანაბეჭდი. იბრძოლონ იმისათვის, რომ ამაღლდეს ლიტერატურის ქმედითობა სოციალისტური შეჯიბრების განვითარებაში;

პოლიგრაფიულ მრეწველობაში — პროდუქციის რეალიზაციის გეგმა შეასრულონ 24 დეკემბრისათვის, გამოუშვან გეგმის გადამეტებით 110 ათასი მანეთის წიგნი და სხვა პროდუქცია. ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის, საწარმოო ფონდებისა და წარმოების რეზერვების უკეთ გამოყენების გზით 1,2 პროცენტით გაზარდონ ფონდუკუგება. დაზოგონ 175 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია. გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი.

წიგნის ვაჭრობაში — წიგნის ვაჭრობის გაერთიანების „საქწიგნის" საცალო საქონელბრუნვის გეგმა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის და მოსახლეობას გეგმის გადამეტებით მიჰყიდონ 300 ათასი მანეთის წიგნი და სხვა პროდუქცია;

— უფრო ფართოდ დანერგონ წიგნის ვაჭრობის პროგრესული ფორმები და მეთოდები.

* * *

საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც კისრულობენ 1981 წლის სოციალისტურ ვალდებულებებს, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მეთერთმეტე ხუთწლედშიც განაგრძონ ამიერკავკასიის მომმე რესპუბლიკებთან — აზერბაიჯანის სს რესპუბლიკასა და სომხეთის სს რესპუბლიკასთან შრომითი მეტოქეობა და იწვევენ მათ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

* * *

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელები, იწონებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, მითითებებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში, აღუთქვამენ კომუნისტურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს, რომ კიდევ უფრო ფართოდ გაშლიან სოციალისტურ შეჯიბრებას, განამტკიცებენ მეათე ხუთწლედში მიღწეულ შედეგებს და ლენინური პარტიის XXVI ყრილობას, მთლიანად 1981 წელს აღნიშნავენ მაღალი მიღწევებით კომუნისტურ მშენებლობაში.

სოციალისტური ვალდებულებანი მიღებულია შრომითს კოლექტივებში და საქართველოს სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე 1981 წლის 8 იანვარს.

ყრილობას უძღვნიან

ოპერა „ნიშნობის" წარმატება

სსრ კავშირის სახალხო არტისტის ოთარ თაქთაქიშვილის ახალი ოპერის „პირველი სიყვარული" წარმატებით დადგმის შემდეგ მსმენელები კვლავ შეხვდნენ ნიჭიერი ხელოვნის მუსიკას. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სცენაზე გორის სამუსიკო სასწავლებლის საოპერო სტუდიამ წარმოადგინა ახალი ოპერა — „ნიშნობა", რომელიც შეიქმნა ქართული ლიტერატურის კლასიკოსის მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობის მიხედვით. ამ ნაწარმოების პრემიერა გაიმართა გორში საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გახსნის წინ.

და აი 26 იანვარს თბილისელებს შესაძლებლობა მიეცათ მოესმინათ ახალი ოპერა.

კომპოზიტორთან ერთად წარმატება სამართლიანად გაიზიარეს სპექტაკლის დირიჟორმა და მუსიკალურმა ხელმძღვანელმა რ. ტაკიძემ, დამდგმელმა რეჟისორმა ტ. ბუხბინდერმა, მხატვარმა ი. გეგეშიძემ, ქორეოგრაფებმა — საქართველოს სახალხო არტისტმა ი. ზარეცკიმ და კ. ძნელაძემ, ქორმაისტერმა — რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატმა შ. მოსიძემ.

მთავარი პარტიები შეასრულეს სოლისტებმა მ. მაღლაფერიძემ, თ. გუგუშვილმა, ო. ხოფერიამ, კ. ძნელაძემ. გუნდში მღეროდნენ გორის სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეები, ქალაქის მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეები.

სპექტაკლს დაესწრნენ ამხანაგები ე. შევარდნაძე, პ. გილაშვილი, გ. ენუქიძე, ა. ინაური, თ. მენთეშაშვილი, ჯ. პატიაშვილი.

სურათზე: მ. მაღლაფერიძე — ფეფო; თ. გუგუშვილი — მიხა.
მ. ბაბოვის ფოტო.

იუბილე ახალ კულტურის სახლში

სცენის მოყვარულებმა საგარეჯოში აშენებულ ახალი კულტურის სახლში აღნიშნეს საქართველოს ერთ-ერთი უძველესი თეატრის ასი წლისთავი.

ასი წლის წინათ დაწყებითი სკოლის სასწავლო ოთახში, რომელიც „თეატრად" გადააკეთეს, გაიმართა პირველი სპექტაკლი. ბევრ სიძნელეს შეხვდნენ ისინი, ვინც თეატრს საფუძველს უყრიდა. გლეხთა ცხოვრებისადმი მიძღვნილმა სპექტაკლებმა მაშინდელ კოლექტივს უდიდესი პოპულარობა მოუხვეჭა. ა. ცხვედაძე, ნ. ავალიშვილი, ლ. ჩერქეზიშვილი, ი. გულისაშვილი, ნ. ლეჟავა — აი იმათი არასრული სია, ვინც საქართველოში ამ უძველესი თვითმოქმედი თეატრის სათავეებთან იდგა. სხვადასხვა დროს საგარეჯოელ მოყვარულთა სპექტაკლებში მონაწილეობდნენ შემდგომში გამოჩენილი ქართველი თეატრალური მოღვაწენი: ვ. აბაშიძე, ი. იმედაშვილი, შ. დადიანი, ა. ვასაძე, ა. ბურთიკაშვილი...

მათ კეთილ ესტაფეტას მაღლა ატარებენ ახლანდელი მოყვარული მსახიობები. დღეს შემოქმედებითი კოლექტივი აერთიანებს ოცდაათზე მეტ სცენისმოყვარეს — სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანებს. მათ შექმნეს ათობით სპექტაკლი თანამედროვე ავტორებისა და კლასიკოსების ნაწარმოებთა მიხედვით. თეატრს ბევრი ჯილდო აქვს მინიჭებული რესპუბლიკურ და საკავშირო დათვალიერებებში მონაწილეობისათვის.

თეატრის ასი წლის იუბილესადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოზე მოვიდნენ ინტელიგენციის, კოლმეურნე გლეხობის და მუშების წარმომადგენლები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, თბილისელი სტუმრები.

მოხსენება სახალხო თეატრის სახელოვან გზაზე, მის წარსულსა და აწმყოზე გააკეთა პარტიის საგარეჯოს რაიკომის მეორე მდივანმა ნ. გურჯიძემ. აჩვენეს სცენები თეატრის საუკეთესო დადგმებიდან.

საზეიმო საღამოში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ანდრონიკაშვილი. (საქინფორმი).

ამბავი სახალხო გმირობისა

27 იანვარს ცენტრალურმა ტელევიზიამ დაიწყო ექვსსერიიანი დოკუმენტური ფილმის „ყამირის" ჩვენება. ფილმი გადაღებულია ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის წიგნის მიხედვით.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ტრილოგია „მცირე მიწა", „აღორძინება" და „ყამირი" სახელმძღვანელო და სამაგიდო წიგნებად იქცა საბჭოთა ადამიანებისათვის. ამ წიგნებში ლ. ი. ბრეჟნევმა მძაფრად და ამაღელვებლად მოგვითხრო საბჭოთა ხალხის საგმირო და სასიკეთო საქმიანობაზე, რომელმაც ომისშემდგომ წლებში დიდად წინ წასწია მთელი ჩვენი ქვეყანა.

ახლა ლ. ი. ბრეჟნევის ტრილოგიის ერთ-ერთი წიგნი — „ყამირი" საფუძვლად დაედო ამავე სახელწოდების ექვსსერიიან დოკუმენტურ კინომოთხრობას. ყამირი მიწების ათვისებაში, ისევე როგორც დიდ სამამულო ომსა და აღორძინების პერიოდში, გამოვლინდა ჩვენი ხალხის საგმირო საქმენი. თვით ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვით, გმირობა ხომ სხვადასხვაგვარად ვლინდება — იგულისხმება ომისა და ომისშემდგომი წლები. საყოველთაო შრომითი გმირობის მაგალითია საბჭოთა ადამიანების მიერ ყამირი მიწების ათვისებაც, ყამირისა, რომლის უძნელეს უბნებზე კომუნისტები იყვნენ.

„ყამირი" ცხოვრებისეული, მართალი წიგნია, რომელშიც საინტერესო ადამიანების სახეები გამობრწყინდა, ყოველდღიური პარტიული ცხოვრების მჩქეფარება, კომუნისტთა შემოქმედებითი დაძაბულობა და ალმაფრენა აისახა. ყოველივე ამით შთაგონებულმა დოკუმენტური კინოს ოსტატებმა შექმნეს ამაღელვებელი ფილმი „ყამირი".

ფილმი „ყამირი" ამ საამაყო წვლილზე მოგვითხრობს, რომელიც მის ათვისებაში მიუძღვით საბჭოთა ადამიანებს, მთელ ჩვენს ქვეყანას.

დიდი მოსამზადებელი სამუშაოები უძღოდა ამ ფილმს. საჭირო გახდა საარქივო დოკუმენტებიც. 180 ათასამდე მეტრი კინოფირი გადაისინჯა მოსკოვის, კიევის, კიშინიოვის, ალმა-ათის ფილმსაცავებში — პირველი ხუთწლედების ქრონიკებით დაწყებული დღემდე.

ფილმის ავტორები შეხვდნენ წიგნის გმირებს. გადაღება მიმდინარეობდა ყამირ მიწებზე, ყაზახეთის სხვადასხვა ქალაქსა და მეურნეობაში, აგრეთვე მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, პოლტავასა და ლვოვში, ალტაის მხარის ყამირ რაიონებში, ომსკისა და ნოვოსიბირსკის ოლქებში. ასეთი ვრცელი იყო ფილმის მასშტაბი, რასაც თვით წიგნი უკარნახებდა ფილმის ავტორებს. როგორც ლეონიდ ილიას ძე ამბობს, ყამირი მარტოოდენ ხოდაბუნები როდია. ამ მხარეში შეიქმნა გიგანტური აგრარულ-სამრეწველო კომპლექსი, რომელმაც უძლიერესი გავლენა მოახდინა მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაზე.

ფილმში გამოიკვეთა საბჭოთა ადამიანების უკეთილშობილესი ზნეობრივი თვისებები, საქვეყნოდ თვალსაჩინო რომ გახდა ყამირის ათვისების პერიოდში.

ყამირელთა შესახებ კინოეპოპეა შექმნეს რეჟისორებმა — ყაზახეთის სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწეებმა კ. ახმეტოვმა და ს. მოროზოვმა, ოპერატორებმა გ. ლაზარევსკიმ და ა. ფედულოვმა, კომპოზიტორმა ე. ბოგუშევსკიმ. დიქტორის ტექსტს კითხულობს სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ვ. ტიხონოვი. მთავარი კონსულტანტები არიან ს. იმაშევი და გ. ცუკანოვი.

• •



სურათებზე: კადრები ფილმიდან „ყამირი": ალმა-ათა, 1954 წლის მარტი. ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა ოპერის თეატრში ყამირზე მიმავალი ახალგაზრდობის წინაშე; ყამირზე მიიღეს ახალი, უძლიერესი ტექნიკა; კუსტანაის ელევატორი.
საქდესისა და საქინფორმის ტელეფოტო.

აანალიზებენ გაწეულ მუშაობას

ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, სოციალისტური დემოკრატიის განვითარებისა და სსრ კავშირის კონსტიტუციით გამოცხადებული მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებებისა და თავისუფლებების განუხრელი განხორციელებისათვის ბრძოლის განუყოფელი ნაწილია. როგორც საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისადმი საქართველოს კომუნისტური პარტიის საანგარიშო მოხსენებაში აღინიშნა, საბჭოთა ორგანოების საქმიანობაში ჯერ კიდევ შეიმჩნევა ადამიანების საჭიროებებისადმი უგულო დამოკიდებულების, საქმისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიული მიდგომის ბევრი ფაქტი.

ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობისა და მისი გაძლიერების ღონისძიებათა საკითხს განიხილავს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს სესია, რომელიც მიმდინარე წლის მარტის მეორე ნახევარში გაიმართება. ამასთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო აღმასკომში გამართულ თათბირზე განიხილეს ღონისძიებანი საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების, მათი განყოფილებების, სამმართველოებისა და სამსახურების მიერ ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის გამოვლინებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად გაწეული მუშაობის შესწავლისა და ანალიზისათვის.

ინფორმაცია მომავალი სესიისათვის მზადების ამოცანების შესახებ გააკეთა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. ნეფედოვმა. (საქინფორმი).

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობა

კამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხ. პ. გ. გილაშვილის სიტყვა

(საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე)

ამხანაგებო! დღეს კითხვაზე, თუ როგორ მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი საანგარიშო პერიოდში, უმეტესობა ალბათ უპასუხებს: ნაყოფიერად მუშაობდაო. მეც ვუერთდები ამ შეფასებას, მაგრამ მაქვს შენიშვნა. ყველაფერი შეიცნობა შედარებისას. და, როდესაც ცენტრალური კომიტეტის ახლანდელ საქმიანობას ვადარებ წარსულს, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების მიღებამდე მისი მუშაობის შედეგებს, შეფასება „დამაკმაყოფილებელი" მეცოტავება.

პარტიაში დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, დავკმაყოფილდეთ ამ მოკრძალებული შეფასებით და მთელი ყურადღება შევაჩეროთ გადაუჭრელ საკითხებზე. ეს არის მუშაობის ლენინური პრინციპების მოთხოვნა.

რესპუბლიკის წარმატებები დღეს უფრო დამაჯერებელი იქნებოდა, რომ თითოეული ჩვენგანი მთელი სულითა და გულით, შემოქმედებითად მოჰკიდებოდა დაკისრებულ საქმეს, ბოლომდე მიეყვანა იგი.

ყოველივე ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს, მის პრეზიდიუმს, ყველა თანამშრომელს. სამწუხაროდ, ჩვენს მუშაობაში ჯერჯერობით ვერ დავნერგეთ ის შემოქმედებითი და საქმიანი სტილი, რომელიც ახასიათებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების, ბიუროსა და აპარატის მუშაობას.

ვიღვწოდით იმისათვის, რომ გვემაღლებინა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების აქტიურობა და დღეს შეგვიძლია ყრილობას მოვახსენოთ, რომ მიანი მიღწეულია.

მაგრამ გაჩნდა უფრო პასუხსაგები ამოცანა — ვიდგეთ დეპუტატთა გაზრდილი აქტიურობის დონეზე, ყურადღებით მოვეპყრათ ყოველ მათს წინადადებასა და შენიშვნას, ოპერატიულად და ქმედითად მივეხმაროთ მათ ამომრჩეველთა განაწესების განუხრელად შესრულებაში.

სახალხო დეპუტატში — კომუნისტი იქნება იგი თუ უპარტიო — ორგანულად უნდა იყოს შერწყმული მომთხოვნელობა და თავმდაბლობა. ეს ჩვენი პარტიის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა.

დღეს, როდესაც ჩვენი წარმატებები სკეპტიკოსებმაც კი აღიარეს, წარმოიშვა კრიტიკული აზროვნების სიმწვავის დაჩლუნგების საშიშროება. ზოგიერთი ადგილობრივი ხელმძღვანელი მუშაკისაგან გაიგონებთ: „მე ავაშენე...", „მე დავთესე...", „სანამ მე აქ ვარ"..., „მე არ დავუშვებ"..., „მე მოვხსენი"... და ასე შემდეგ.

იქნებ ვინმეს ჰგონია, „მეს" ხმარება უფრო თავმდაბლობა იყოს, ვიდრე მრავლობითი „ჩვენისა", მაგრამ რატომღაც ეს მორიდებული „მე" ქრება, როგორც კი საქმე პერსონალურ პასუხისმგებლობას ეხება.

ეს პასუხისმგებლობა უნდა დომინირებდეს არა მარტო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, არამედ ყოფაცხოვრებაშიც. როდესაც სტუმრებს ვხვდებით ხოლმე, ზოგჯერ თავმდაბლობა გვავიწყდება. მხოლოდ ზოგიერთი თანამდებობის პირის თავისთავისადმი რწმენის უქონლობით შეიძლება ავხსნათ ხელგაშლილი პურმარილიანობის ფაქტები, როცა ტრადიციებს ვეფარებით და საკუთარი ღირსების გრძნობას ვივიწყებთ.

ზოგჯერ ორჭოფულ მდგომარეობაში ვვარდებით, როდესაც უარს ვამბობთ გულუხვ სუფრაზე, ან უადგილო საჩუქარზე, მოჩვენებითი გაუგებრობით შეგვეკითხებიან: ეს ხომ „უტაქტობა", მასპინძლის შეურაცხყოფააო.

მაგრამ თუ ეს ჩემი შეურაცხყოფაა?

ზოგიერთ ჩვენს ამხანაგს, რომელიც სახელმწიფოს ხარჯზეა გულუხვი, ზედმეტი არ იქნება კიდევ ერთხელ შევახსენოთ, რომ არსებობს სადირექტივო ორგანოების შესაბამისი დადგენილებები, რომლებიც კრძალავს ამგვარ „პურმარილიანობას".

ჩვენი პარტია არასოდეს ყოფილა ასკეტური ცხოვრების მომხრე. იგი ყოველთვის ხელმძღვანელობდა იმით, რომ არაფერი ადამიანური ჩვენთვის უცხო არ არის. და შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მავნე წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო დევიზით: „დავამკვიდროთ ადამიანური ადამიანში".

რესპუბლიკაში მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების მიღების შემდეგ გაჩნდა ახალი დღესასწაულები. ასეთი დღესასწაულებით დღეს შეუძლია იამაყოს თითოეულმა რაიონმა და ქალაქმა.

ეს სასიხარულო მოვლენაა. მაგრამ დროა ღრმად და ყურადღებით გავაანალიზოთ ამ ზეიმების შინაარსი. ვიყოთ გულახდილი — მათ შორის გამოჩნდა გამოგონილი, ნაკლებშინაარსიანი დღესასწაულობანი, რომლებიც სახელს უტეხს სასარგებლო წამოწყებას. ჩემ მიერ გამოთქმული შენიშვნები უმისამართო როდია. ისინი უწინარეს ყოვლისა ეხება რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს, რომლებიც ჯერ კიდევ საკმარისი აქტიურობით არ ახდენენ გავლენას ადამიანთა შეგნებაზე, სუსტ პროპაგანდას უწევენ ჭეშმარიტად ჩვენს, საბჭოთა ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ვიმსჯელეთ ამ საკითხზე და საჭიროდ მივიჩნიეთ შევიტანოთ შესაბამისი წინადადება საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში.

ყოველივე დადებითი, რაც დამახასიათებელია სახალხო დეპუტატთა საბჭოებისათვის, და რაზეც ილაპარაკეს ყრილობის დელეგატებმა, ჩვენი აზრით, ეს არის შედეგი პარტიული კომიტეტების მიზანდასახული საქმიანობისა, რომლებიც საბჭოებს ღონივრად ეხმარებიან და მხარს უჭერენ. მაგრამ საბჭოების საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებებში ბრალი პარტიულ კომიტეტებსაც მიუძღვით.

საბჭოებს დიდი უფლებები აქვთ. ეს უფლებები მათ აქტიურად, სრულად უნდა გამოიყენონ, უნდა გამოიჩინონ შეურიგებლობა ნაკლოვანებებისადმი, პრინციპულობა — კომუნისტური მშენებლობის საარსებო საკითხების გადაწყვეტაში.

საბჭოებს უფრო მეტად უნდა ვენდოთ და უფრო მეტიც მოვთხოვოთ. სახალხო დეპუტატთა საბჭოების უმთავრესი მოვალეობა პარტიული ყრილობების გადაწყვეტილებათა განხორციელებაა. (ტაში).

ამხ. ა. ვ. კობაიძის სიტყვა

(საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველი მდივანი)

ამხანაგებო! გასული ხუთწლედი თელავის რაიონის მშრომელებისთვის უჩვეულოდ შინაარსიანი იყო. მაღალმა შრომითმა განწყობამ, უმაღლესი შედეგების მიღწევისადმი სწრაფვამ, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის ატმოსფერომ, რაც მეათე ხუთწლედის პირველი დღეებიდანვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მისი ბიუროს ტაქტიკა, თანამიმდევრული მუშაობის შედეგად შეიქმნა, განაპირობა საქმისადმი ადამიანთა თვისებრივად ახალი დამოკიდებულება.

ამ პირობებში მნიშვნელოვნად აიზარდა რაიონის პარტიულ ორგანიზაციათა დამრაზმველი როლი. ამათი ხელმძღვანელობით ჩვენმა შრომელებმა შეძლეს არა მარტო აღმოეფხვრათ მეათე ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში წარმოქმნილი ჩამორჩენა, დაეძლიათ სტიქიური უბედურების შედეგები, არამედ ხუთწლედის ფინიშზე გადაჭარბებით შეესრულებინათ ყველა ძირითადი სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქციის, მათ შორის ჩვენთვის მთავარი, მაპროფილებელი კულტურის — ყურძნის დამზადების გეგმები.

წარმატებით, შეუფერხებლად მუშაობდნენ მთელი მეათე ხუთწლედის მანძილზე რაიონის სამრეწველო საწარმოები და სამშენებლო ორგანიზაციები.

დღეს მთელი ჩვენი ფიქრები მიმართულია მეთერთმეტე ხუთწლედის ახალი, უფრო რთული ამოცანების გადაწყვეტისათვის. მათ შორის ყველაზე მთავარია, როგორც ეს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმზე, სურსათით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესება.

ჩვენ ვემზადებით სასურსათო პროგრამის მართვის რაიონული სისტემის შესაქმნელად. აბაშელთა და მახარაძელთა გამოცდილების საფუძველზე ამ მიმართულებით ჩვენ უკვე გარკვეულ მუშაობას ვიწყებთ.

ეს არის, ჯერ ერთი, სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეზერვების გამონახვისა და წარმოების გადიდების ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელება; მეორე, ძირითადი კვების პროდუქტებით რაიონის მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის პრობლემის გადაჭრა; მესამე, საკარმიდამო სექტორის როლის გაძლიერება მასთან კოოპერირების გზით, და ბოლოს, ტერიტორიული მართვის სრულყოფა.

პარტიის რაიონული კომიტეტის საქმიანობაში დღეს შეგვიძლია გამოვყოთ სამი ძირითადი მიმართულება, რომლებსაც, ჩვენი აზრით, შეუძლია ხელი შეუწყოს ზემოაღნიშნულ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტას. ეს არის უწინარეს ყოვლისა სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების გადიდების ფაქტორული ანალიზის მეთოდის დანერგვა, შემდეგ დარგის განმტკიცება საშუალო რგოლის კვალიფიციური ხელმძღვანელი კადრებით, და ბოლოს, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა უფრო ეფექტიანი გამოყენება.

ამ მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ რაიონის მეცნიერი მუშაკები. გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს აგრეთვე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სოფლის მეურნეობის ეკონომიკის და დაგეგმვის ინსტიტუტის ქვეგანაყოფმა, რომელიც ჩვენთან შეიქმნა.

ბევრისათვის ცნობილია, რომ უკვე სამი წელია ჩვენთან წარმატებით მოქმედებს ჩვენს ქვეყანაში პირველად შემუშავებული ყურძნის კრეფის მართვის ტიპობრივი ავტომატიზებული სისტემა, რომელიც სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროს მედლით დაჯილდოვდა.

შარშან ეს სისტემა გავრცელდა კახეთის ყველა რაიონში და საყოველთაო აღიარება დაიმსახურა არა მარტო ეკონომიკური ეფექტიანობის მაღალი შედეგების, არამედ აგრეთვე მთელი რიგი სოციალურ-ფსიქოლოგიური ამოცანების გადაწყვეტის გამოც.

მიმდინარე წლიდან ჩვენ ვვარაუდობთ ეს სისტემა გავავრცელოთ მთელი აგროსამრეწველო კომპლექსის მართვაზეც.

ამასთან ერთად სისტემის დანერგვამ გვიჩვენა, რომ მეცნიერების ბევრი მიღწევის წარმატებას, ეკონომიკაზე მის დადებითს გავლენას ვერ უზრუნველყოფს მხოლოდ მეცნიერ მუშაკთა მეცადინეობა.

ჩვენ დავრწმუნდით, რომ მართვის ავტომატიზებული სისტემის დანერგვისა და ექსპლოატაციაში მონაწილეობის მისაღებად ყველაზე ნაკლებად მომზადებული აღმოჩნდნენ სწორედ საშუალო რგოლის ხელმძღვანელი კადრები. ამიტომ მათი მუშაობის სტილის სრულყოფა, მისი ამაღლება თანამედროვე მოთხოვნათა დონემდე პარტიული რაიონული კომიტეტის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა გახდა.

ვხელმძღვანელობთ რა „საშუალო რგოლის, მექანიზატორთა და სხვა მასობრივ პროფესიათა კადრებით სოფლის მეურნეობის განმტკიცებისათვის სკკპ როსტოვის საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის XVII პლენუმის გადაწყვეტილებებით, ვფიქრობთ, რომ გამოვნახეთ მუშაობის კარგი ფორმა, რომელიც საშუალებას გვაძლევს მნიშვნელოვნად გავზარდოთ ამ კატეგორიის ხელმძღვანელთა ავტორიტეტი, ხელს უწყობს დემოკრატიული საწყისების განმტკიცებას სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობაში.

უკვე ორი წელია ჩვენთან მოქმედებს „წარმოების საშუალო რგოლის ხელმძღვანელთა რაიონული საბჭო", რომელსაც ფართო უფლებები მიეცა. საბჭო აანალიზებს საქმის ვითარებას მუშაობის სხვადასხვა უბანზე, ავლენს მწვავე პრობლემებს და მთელ რიგ შემთხვევებში განსახილველად გამოაქვს ისინი პარტიის რაიკომის ბიუროსა და რაიაღმასკომის სხდომებზე. საბჭოს ფუნქციებში შედის აგრეთვე მოწინავე გამოცდილების განზოგადება და პროპაგანდა, საშუალო რგოლის ხელმძღვანელებისათვის კლასის მინიჭებისა თუ ჩამორთმევის რეკომენდაციათა შემუშავება და სხვ.

მაგრამ, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ საბჭოს მუშაობაში, და ამით წარმოების მართვაში, მონაწილეობის შედეგად ამ დონის ხელმძღვანელები ახლა უკვე სხვა მასშტაბით აზროვნებენ და აღარ სჭირდებიან თავიანთი მეურნეობის და ზოგჯერ რაიონის ფარგლებს.

სასურსათო პროგრამის განხორციელების ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ასპექტია მიწის, როგორც წარმოების ძირითადი საშუალების, ეფექტიანი გამოყენების საკითხი.

აქ მთავარი როლი განეკუთვნება სწორ დაგეგმვას, და პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ჯერჯერობით ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მუშაობა ამ მიმართულებით.

მაგალითად, ავიღოთ მდგომარეობა, რომელიც ჩვენში შეიქმნა ეთერზეთოვანი კულტურების დარგში. უკვე ზედიზედ მეათე წელია გეგმები სანახევროდაც ვერ სრულდება და მთელი რიგი ობიექტური მიზეზის გამო, რომლებიც კარგად იციან სპეციალისტებმა, არავითარი შანსი არ არის, რომ როდესმე შესრულდება იმ მოცულობით, რომელსაც სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი გეგმავს. ეთერზეთოვანი კულტურებისათვის გამოყოფილი ასობით ჰექტარი პრაქტიკულად უკუგებას არ გვაძლევს, მაშინ როცა ამ მიწებზე შეგვიძლია სისტემატურად მოვიწიოთ ბოსტნეულის, სიმინდის უხვი მოსავალი, გამოვიყენოთ ისინი ამ ზონისთვის ტრადიციული უნიკალური ჯიშების ვაზის გაშენებისათვის.

მაღალკვალიფიციური სპეციალისტების დახმარებით ჩვენ შევიმუშავეთ წინადადებანი რაიონის სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი სპეციალიზაციის, კონცენტრაციის განვითარებისა და ეფექტიანობის ამაღლების შესახებ, რომლებიც ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წარვუდგინეთ სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად პარტიის თელავის რაიკომის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშთან ერთად. თავის დადგენილებით ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დაავალა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს განეხილათ ეს წინადადებანი, მაგრამ წელიწად-ნახევარი გავიდა და ჯერ არაფერი გაკეთებულა.

ამასთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო ძალზე მართებული და საქმიანი საუბარი, რომელიც გუშინ გაიმართა ჩვენი ყრილობის დელეგატთა სამუშაო ჯგუფის სხდომაზე კადრებთან მუშაობის სრულყოფის შესახებ. საუბრის დროს განსაკუთრებით აღინიშნა, და ეს ჯგუფის რეკომენდაციებში აისახა, რომ საჭიროა გვქონდეს პროგრამის მართვის სისტემა, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს თითოეულის პირად პასუხისმგებლობას მუშაობის დავალებული უბნისათვის.

როგორც ჩანს, ეს უპირველეს ყოვლისა უნდა გაითვალისწინონ იმ ამხანაგებმა, რომლებიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებებსაც კი ვერ ასრულებენ.

მე ვიცი ყრილობის ბევრი დელეგატის აზრი, რომ დელეგატთა ჯგუფების საქმიანობა მუშაობის უაღრესად სასარგებლო და საინტერესო ფორმაა, და გადაწყვეტილება, რომ ყრილობის მუშაობის დამთავრების შემდეგაც შევინარჩუნოთ ისინი როგორც სამუშაო ჯგუფები, საშუალებას მოგვცემს უკეთ განვახორციელოთ რეკომენდაციათა შესასრულებლად მუშაობის ქმედითი კონტროლი და კოორდინაცია. (ტაში).

ამხ. ზ. დ. გულუას სიტყვა

(საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი)

ამხანაგებო! ყრილობის მუშაობის ორგანიზაციამ გულახდილი ურთიერთგაზიარების ფართო შესაძლებლობანი შექმნა. ერთსულოვანი აზრით, ყრილობის დელეგატებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა რესპუბლიკის კომპარტიის მიერ საანგარიშო პერიოდში განვლილი რთული გზის, გაწეული შრომის შედეგების მკაფიო, თვითკრიტიკულმა ანალიზმა, საანგარიშო მოხსენების სიღრმემ, საბჭოთა საქართველოს წინაშე დასახული ამოცანების მასშტაბებმა.

მოლოდინიც ასეთი იყო. აგერ უკვე ხუთი წელია ჩვენი ხალხი, მთელი რესპუბლიკა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უნარიანი ხელმძღვანელობით მუხლჩაუხრელად შრომობს და იბრძვის პარტიის XXV ყრილობის საპატიო ტრიბუნაზე დადებული პირობის გასანაღდებლად. ჩვენი მშრომელები დღეს პირნათლად ეგებებიან სკკპ XXVI ყრილობას.

მოპოვებული გამარჯვებები ლოგიკური შედეგია იმ შეუნელებელი ყურადღებისა და მხარდაჭერისა, რომელსაც ჩვენი პარტიის ლენინური შტაბი, პირადად ლ. ი. ბრეჟნევი იჩენენ საბჭოთა საქართველოსადმი, ქართველი ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებისადმი.

ფოთის პარტიულმა ორგანიზაციამ, მისმა სახელოვანმა მუშათა კლასმა, თავდადებული შემოქმედებითი შრომით შეძლო ეს წლები ქალაქის ეკონომიკისა და სოციალურ-კულტურული განვითარების დიდმნიშვნელოვან ეტაპად ექცია. წინა ხუთწლედთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის მოცულობა თითქმის 140 მილიონი მანეთით გაიზარდა. მათ შორის 89 პროცენტი შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზეა მიღებული. 3,1-ჯერ გაიზარდა ხარისხისნიშნიანი პროდუქციის წარმოება. უცხოეთის 49 ქვეყანაში დღეს 60 მილიონამდე მანეთის პროდუქცია იგზავნება.

ქალაქი ფოთი — მდიდარი რევოლუციური და შრომითი ტრადიციების მქონე „საქართველოს საზღვაო ჭიშკარი" — მეოცე საუკუნის 80-იანი წლების მიჯნაზე წარსდგა, როგორც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი საზღვაოსატრანსპორტო კვანძი, სადაც ყოველწლიურად 55 ქვეყნის 1800 გემი შემოდის. დღეს ქალაქის სახალხო მეურნეობის განვითარების დონეს განსაზღვრავს ისეთი რთული დარგები, როგორიც არის გემთმშენებლობა, ელექტროტექნიკური მრეწველობა, ჰიდროსამელიორაციო მანქანათმშენებლობა, გემთშეკეთება, საოკეანო და საზღვაო თევზჭერა, საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტი. ფოთიდან ხორციელდება კოლხეთის საუკუნოვანი ჭაობების დაშრობა და მისი სუბტროპიკული ათვისება.

საუკუნეთა მანძილზე ჩვენი ერი ზღვისაგან ზურგშექცევით იდგა, მაგრამ გამოჩნდნენ მისი ღირსეული შვილები და ურთულეს პირობებში იტვირთეს ქალაქის აღორძინების პატრიოტული მისია. მათი მეცადინეობით 123 წლის წინათ ფოთში გაიხსნა საზღვაო ნავსადგური; 110 წლის წინათ დაიწყო ამიერკავკასიაში პირველი სარკინიგზო მიმოსვლა ფოთსა და შორაპანს შორის, 100 წლის წინათ აქ გაიხსნა საზღვაოსნო და კიდევ ათამდე სხვა სასწავლებელი. და რაოდენ დასანანია, რომ მრავალ ასეთ საშვილიშვილო საქმეს შემდგომში არ მიექცა სათანადო ყურადღება.

გაუქმდა საზღვაო სასწავლებელი, ქალაქმა შეანელა თავისი პროფილით განვითარება და იგი დღეისათვის ერთ-ერთი ყველაზე მოუწყობელია შავი ზღვის სანაპიროზე.

ჩვენი აზრით, საქართველო მძლავრი საზღვაო პოტენციალის რესპუბლიკა უნდა გახდეს, და ფოთელები, რომელთაც სიყრმიდანვე ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი ზღვასთან შეჭიდების დაუოკებელი წყურვილი, თავიანთ სიტყვას იტყვიან ამ მამულიშვილურ საქმეში.

საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან ერთად ჩვენ ვაყენებთ წინადადებას ქალაქ ფოთში თევზის მრეწველობის ინსტიტუტის ფაკულტეტის გახსნის შესახებ, რომელიც მოამზადებს გემების შტურმანებსა და მექანიკოსებს, თევზის ტექნოლოგებს, გემთშემკეთებლებსა და გემთმშენებლებს. ეს ღონისძიება დიდად შეუწყობს ხელს გემთმშენებლობის საკონსტრუქტორო ბიუროს ჩამოყალიბებას ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში, სადაც საფუძველი ეყრება ახალ დარგს — თანამედროვე გემთმშენებლობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XXII პლენუმზე გამოთქმული წინადადებების შესაბამისად, მიღწეულია შეთანხმება უკვე მიმდინარე წლიდან დავიწყოთ მძლავრი საკონტეინერო ტერმინალის მშენებლობა ფოთის სავაჭრო-საზღვაო ნავსადგურში. იგი დიდ როლს შეასრულებს ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის ტვირთნაკადების უმოკლესი გზით წარმართვაში. ამ პროცესში ჩვენი ავტოტრანსპორტის მონაწილეობა დიდად გაზრდის რესპუბლიკის ვალუტის შემოსავალს.

საგრძნობლად შეამსუბუქებს ამიერკავკასიის რკინიგზის მდგომარეობას ფოთ-ჟდანოვ-ვარნის მიმართულებით საბორნო გადასასვლელის მშენებლობა, რაზეც საანგარიშო მოხსენებაში იყო საუბარი. საჭირო იქნება მხოლოდ, რომ ამ წინადადებას მხარი დაუჭიროს სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის მინისტრმა ამხ. ტ. ბ. გუჟენკომ.

საანგარიშო მოხსენებაში მწვავედ აღინიშნა ის უმსგავსობანი, რომლებიც თევზის მრეწველობაში მოხდა. ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნათა შესაბამისად, დიდი მუშაობა წარმოებს მდგომარეობის გამოსასწორებლად. მიღწეულია პირველი დადებითი შედეგები, რაც მოპოვებულია მებადურთა კოლექტივში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლის პირობებში. ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველომ 1980 წელს შეძლო ოკეანეში თევზის მოპოვებისა და ყველა ძირითად დავალებათა შესრულება.

ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანა ახალი სუპერხომალდის „ახმეტის" ეკიპაჟმა, რომელმაც წარმატებით დაამთავრა პირველი რეისი. მოხდა სასურველი გარდატეხა შავი ზღვის ქაფშიისაგან სასურსათო პროდუქციის გამოშვებაში — საერთო თევზჭერაში მისი ხვედრითი წილი თითქმის 6-ჯერ გაიზარდა. დღეისათვის სავაჭრო ქსელს მივაწოდეთ 8 ათასი ტონა ძვირფასი თევზეული. ეს მხოლოდ პირველი შედეგებია და ახლო მომავალში ქაფშია უფრო დიდ ადგილს დაიჭერს რესპუბლიკისა და ქვეყნის სასურსათო პროგრამის განხორციელებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ფოთის ჰიდრომექანიზაციის მანქანათმშენებელი ქარხნის თაოსნობა და მიზნად დაგვისახა ფართოდ გავშალოთ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, რათა ქალაქში, ყველა სამრეწველო საწარმოში სანიმუშოდ იყოს მოწყობილი მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური პროდუქციის მიღების პროცესების მართვა. ჩვენ გვესმის, თუ რამდენად სერიოზულია ეს დავალება და ამიტომ გულდასმით ვემზადებით მის შესასრულებლად.

„წარმოების მაღალი კულტურის" სახელის მქონე მანქანათსაშენებელი და „ოქროს მერკურის" საერთაშორისო პრემიის ლაურეატი გემთსაშენებელი ქარხნების, საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მრავალგზის გამარჯვებული „ფოთელექტროაპარატის", წისქვილქარხნის, ნავსადგურის, „კოლხეთმშენისა" და ჩვენი ქალაქის სხვა სახელოვანი კოლექტივები მზად არიან იბრძოლონ საუკეთესო დარგობრივი მაჩვენებლებისათვის რესპუბლიკისა და ქვეყნის მასშტაბით. (ტაში).

ამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს ომპარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხ. გ. გ. ლეჟავას სიტყვა

(საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი)

ამხანაგებო! საანგარიშო პე-მა ქვეყნის ყველა მედიკო-სათვის, მათ შორის საქართვე-ოს მედიცინის მუშაკებისათვის ა დევიზით „სოციალურ ანათა შორის არ არის უფ-მნიშვნელოვანი, ვიდრე ზრუ-საბჭოთა ადამიანების ჯანმრ-ობისათვის". ამ დევიზმა, მელიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟ-მა წამოაყენა სკკპ XXV ყრი-ობაზე, განსაზღვრა მოსახლეო-ჯანმრთელობის დაცვის სა-წიფო ღონისძიებათა დარგ-პარტიის პოლიტიკა მეათე წლედისათვის.

საქართველოს მედიკოსებისა-ის ეს განსაკუთრებით დაძა-პერიოდი იყო — უმოკ-ვადაში უნდა აღგვედგინა ტორიტეტი, მიგვეღწია მოწი-მიჯნებისათვის, რომლებიც ერგეთ პარტიის თბილისის ქალაქო კომიტეტის შესახებ ცენტრალური კომიტეტის ბილი დადგენილების წინა-ედ წლებში.

ჩვენს რესპუბლიკას ქვეყანაში თესო მაჩვენებლები ჰქონ-ქიმებისა და მეცნიერების, ტიტუტებისა და ლაბორატო-ების რიცხვის მიხედვით, მაგ-მოსახლეობის სამედიცინო სახურების დონე აშკარად ჩამორჩებოდა ამ რეკორ-ციფრებს. ცალკეულმა მე-ნის მუშაკებმა დაივიწყეს ანთი ჰუმანური პროფესიის თადი პრინციპები, არ ასრუ-ბდნენ ელემენტარულ მოვა-ობას, ავადმყოფები საკუთარი ლდღეობის წყაროდ მიაჩნ-. ამან გამოიწვია ის, რომ ებმა დაკარგეს პატივისცემა რაც ყველაზე მთავარია, მო-ობის ნდობა მათი პროფე-ლი შესაძლებლობებისადმი.

თვით მედიკოსთა დიდმა ლესობამ მწვავედ განიცადა მილი მდგომარეობა და ყო-ნაირად ცდილობდა მის დაძ-ას, თუმცა მუდამ სწორად აღიქვამდა კრიტიკას და დილო დასკვნები არ გამოჰ-ნდა. მაგრამ ჯანმრთელობის ის საჭიროებებისათვის ნამდ-ლად პარტიულმა ზრუნვამ, სა-დიცინო დაწესებულებების ებლობისათვის, თანამედრო-სამედიცინო მოწყობილობისა აპარატურის შეძენისათვის მა დიდმა მუშაობამ და, ლოს, მკაცრმა, მაგრამ ქე-მოსურნე საკადრო პოლიტი-ხელი შეუწყო ჩვენი ჯანმრ-ლობის დაცვის განვითარებაში ებითი ტენდენციების გაჩე-.

საქართველოს მშრომელთა მეათე ხუთწლედის გეგმის ესრულებაში მნიშვნელოვანი

წვლილი შეიტანა სამედიცინო საზოგადოებრიობამაც. ხუთწლედის მანძილზე გაიზარდა მოზრდილების, ბავშვებისა და მოზარდების დისპანსერიზაციის დონე. მნიშვნელოვანი მონაპოვარი გახდა დადებითი ძვრები და დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირების ტენდენციები. ამის შედეგად მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ეს უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლები უკანასკნელი 17 წლის მანძილზე პირველად არის საშუალო საკავშირო მაჩვენებლებზე ნაკლები. მწვავე მიოკარდის ინფარქტით სიკვდილიანობა მნიშვნელოვნად შემცირდა, ინფექციური დაავადებების, მუცლის ტიფის გარდა, მაჩვენებლები საშუალო საკავშირო მაჩვენებლებზე დაბალია. ხუთწლედის მანძილზე შემცირდა აგრეთვე დროებითი შრომის უუნარობის დღეების მაჩვენებელიც, რომელიც ყოველ ას მომუშავეზე თვალსაჩინოდ შემცირდა, ხოლო 84 წამყვან საწარმოში, რომლებიც რესპუბლიკის პოტენციალს განსაზღვრავენ, ეს მაჩვენებელი თითქმის 232 დღით შემცირდა.

ამ საკმაოდ მნიშვნელოვან მაჩვენებლებს ვერ მივაღწევდით, ჯანმრთელობის დაცვაში ორგანიზაციული ღონისძიებებიც რომ არ განგვეხორციელებინა. რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვაში დადებითი ტენდენცია, უწინარეს ყოვლისა, განპირობებულია მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის საერთო გაჯანსაღებით, მასების მზარდი პოლიტიკური აქტიურობით.

რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ასრულებს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს და ახორციელებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე მიღწევებისა და სოციალისტური ჯანმრთელობის დაცვის შესაძლებლობების შეხამების ღონისძიებებს. უწინარეს ყოვლისა, ეს ღონისძიებანი მიზნად ისახავს სამინისტროს აპარატის განმტკიცებას მაღალკვალიფიციური კადრებით. განხორციელდა პირველი ღონისძიებანი მეცნიერებისა და კონტროლის მოთხოვნების, ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის თანამედროვე ავტომატიზებული სისტემების შესაძლებლობათა შესაბამისად, რაც საშუალებას გვაძლევს დავძლიოთ სუბიექტივიზმი და არაკომპეტენტურობა ხანგრძლივი პერიოდისათვის დაგეგმვაში მეცნიერულად დასაბუთებული სისტემური გადაწყვეტილებების მიღებისას.

მაგალითად, დამთავრდა რესპუბლიკის სამედიცინო რეგიონირება, დაიწყო სამკურნალო დაწესებულებათა პასპორტიზაცია, არსებული მოწყობილობისა და აპარატურის საერთო რესპუბლიკური ინვენტარიზაცია, განიხილება დიაგნოსტიკური ცენტრის შექმნის შესაძლებლობანი, მთავრდება ქვეყანაში პირველი სასოფლო პოლიკლინიკების შექმნის ექსპერიმენტი, ათობით ახალგაზრდა სპეციალისტი იგზავნება ხანგრძლივი სტაჟირებისათვის ქვეყნის საუკეთესო სამედიცინო ცენტრებში და ა. შ.

ამასთან არც ერთი წუთით არ ვივიწყებთ, რომ, როგორც ამ ყრილობაზე ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მიერ გაკეთებულ საანგარიშო მოხსენებაში აღინიშნა, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების წინაშე დასახული ამოცანები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად წყდება; მოსახლეობის ჯანმრთელობის დაბალი მაჩვენებლების ნუსხა ჯერ კიდევ დიდია და სამედიცინო დახმარების ხარისხი ყველგან და ყოველთვის როდი შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, რომ კვლავ უპირველესი ამოცანაა უკლებლივ ყველა სამედიცინო მუშაკისათვის სოციალისტური ჰუმანიზმის ნამდვილი იდეალების ჩანერგვა. ჰუმანიზმი კი მარტო ავადმყოფისადმი გულისხმიერება და მოწყალება, მარტო მაღალი პროფესიონალიზმი და მოვალეობისადმი უსაზღვრო ერთგულება კი არ არის, არამედ აგრეთვე შეურიგებელი, მტკიცე ბრძოლა ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ღალატობს საბჭოთა ექიმის ფიცს. ჯერ ხომ არ შექმნილა და ალბათ არასოდეს შეიქმნება ისეთი მანქანა, არ აშენდება ისეთი სავადმყოფო, ვერ გამოიგონებენ ისეთ წამალს, რომლებიც შეცვლის ექიმის პროფესიულ ცოდნას, გულისხმიერებასა და კეთილ ხელს. ამიტომ საქართველოს მედიკოსებს, რომლებიც ისახავენ რთულ ამოცანას — ჯანმრთელობის დაცვის ყველა მაჩვენებლის მიხედვით მეთერთმეტე ხუთწლედში მიაღწიონ საშუალო საკავშირო დონეს, ხოლო ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით — მტკიცე საძირკველი შექმნან შეჯიბრებისათვის ისეთ მოწინავე რესპუბლიკებთან, როგორიც არის უკრაინა, ბელორუსია, ლატვია და სხვები, ძირითად რეზერვად მიაჩნიათ სამედიცინო კადრებთან ყოველდღიური, გულმოდგინე მუშაობა, სიხარბის, უსულგულობის, უპასუხისმგებლობის, გულგრილობის, პროფესიული უმეცრების ფაქტების აღმოფხვრა, რომლებიც ჩვენი ჯანმრთელობის დაცვის მისამართით მოსახლეობის სამართლიან საყვედურს იწვევს.

ამასთან, ამ მაღალი ტრიბუნიდან მინდა ერთხელ კიდევ აღვნიშნო, რომ ჯანმრთელობის დაცვა მართლაც საყოველთაო-სახალხო საქმეა და ყველა ჩვენგანი მეტი ყურადღებით უნდა მოეკიდოს იმას, რაც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან.

პარტიული, საბჭოთა ორგანოების, მთელი საზოგადოებრიობის ერთობლივი მეცადინეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია აჭარის ასს რესპუბლიკა, სადაც უკანასკნელ ხანს მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებები დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებაში. ვფიქრობ, თუ პარტიის საქალაქო, რაიონული კომიტეტების მდივნები, სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული საბჭოების, თავმჯდომარეები, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები თავიანთ ყოველდღიურ დაძაბულ მუშაობაში შეძლებენ ცოტა მეტი ყურადღება დაუთმონ ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებებს, ვიდრე გაბედავს წყალი შეუწყვიტოს საავადმყოფოებს, არ აითვისოს სამედიცინო დაწესებულებათა რემონტისათვის გამოყოფილი სახსრები, არ შეასრულოს პროფილაქტიკური შემოწმების გეგმა, დაივიწყოს სეზონური საბავშვო ბაღის გახსნა, არ გასცეს სათადარიგო ნაწილები და ბენზინი სანიტარიული ავტოტრანსპორტისათვის.

ყოველივე ამის საფუძველზე შემოგვაქვს წინადადება ჯანმრთელობის დაცვის ზოგიერთი მაჩვენებელი შევიტანოთ ქალაქების, რაიონებისა და საწარმოების ძირითად მაჩვენებელთა რიცხვში და ამასთან გავითვალისწინოთ ისინი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას.

ეს, უეჭველია, ხელს შეუწყობს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის წინაშე საანგარიშო მოხსენებაში დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

ხოლო რაც შეგვეხება ჩვენ, რესპუბლიკის მედიკოსებს, ნება მიბოძეთ, საქართველოს კომუნისტთა ამ მაღალ ფორუმს აღვუთქვა, რომ ჩვენს ცოდნასა და ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, რათა ღირსეულად დავიცვათ მუშების, გლეხების, ინტელიგენციის წარმომადგენლების, მთელი ჩვენი ხალხის ჯანმრთელობა. (ტაში).

ამხ. გ. ნ. ენუქიძის სიტყვა

(საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი)

ამხანაგებო! განწყობილება, ომელიც დღეს აქ სუფევს, დე-ტების მიერ საანგარიშო მოხ-ების დებულებათა აქტიური დაინტერესებული შეფასებანი არის გასაკვირი, რადგან პერი-, რომელიც დღეს განხილვის ანია, ჩვენი ცხოვრების ერთი ვეთია, და თითოეულმა ჩვე-განმა თავად განიცადა მისი ავ-. სკკპ ცენტრალური კომი-პოლიტბიუროს წევრობის დატის, საქართველოს კომ-ის ცენტრალური კომიტეტის ელი მდივნის ამხანაგ ე. ა. რდნაძის მოხსენებაში ნათ-არის ნაჩვენები ის მნიშ-ვანი, საეტაპო ძვრები, რომ-ც ჩვენს რესპუბლიკაში მო-წარმოჩენილია შედეგი იმ ლისა, რომელსაც კანონზომი-ად ვუკავშირებთ სკკპ ცენ-ლური კომიტეტის 1972 წლის ბილ დადგენილებას. კანონ-ერია ისიც, რომ პრობლემე-რომლებიც ჩვენი ყრილობას ლობის საგანია, ჩვენი საზო-ების სოციალურ-პოლიტიკუ-განვითარების ძირითადი ტე-ციის, სოციალისტური დემო-ის პრინციპების გაფართოე-განმტკიცების პრიზმით განიხი-, რაც საზოგადოებრივი ცხოვ-ის ამაღლების ერთ-ერთი მთა-პირობაა.

განვითარებული სოციალიზმის ტაპი ქმნის ობიექტურ წანამძღვ-ს და გვაძლევს იმის საშუალე-, რომ გაბედულად გადავჭრათ ებო მნიშვნელობის პრობლე-ები, რომლებიც ხელს უწყობს სო-ისტური საზოგადოების წინს-ლას, და მოვიცილოთ ის, რაც გვიშლის ჩვენს გზაზე. სწო-ეს განსაზღვრავს ჩვენი პარ-ლ-პოლიტიკური და იდეოლო-ი მუშაობის შინაარსს. ამ გა-ბილებით წარიმართა სამუშაო ის საქმიანობა, რომელმაც ილა იდეოლოგიური მუშაო-ისეთი მნიშვნელოვანი საკით-ბი, როგორიც არის ინტერნა-ნალური და პატრიოტული აღ-ა, ახალი ტრადიციებისა და -წესების დანერგვა, კერძომე-კუთრული ტენდენციების წინაა-გ ბრძოლა (განხილვაში მონა-ობა მიიღო 25 დელეგატმა). კიდევ ერთხელ დადასტურდა, რესპუბლიკის პარტიული ანიზაციის მუშაობაში საფუძ-ნად დამკვიდრდა დემოკრა-ლი საწყისები.

ემს გამოსვლაში რამდენიმე ხზე შევაჩერებ თქვენს ყუ-ებას. მთელ რიგ შემთხვევე-ჩვენი იდეოლოგიური მუშა-ერთ-ერთ ნაკლოვან მხარედ ნული იყო სოციალისტური კრატიის ფორმალური მიღება, ატური მიდგომა საზოგადოე-განვითარების კანონებისა-და, როგორც ამის ლოგიკური გი, — კონსერვატიზმი აზროვ-ი. ამის ერთ-ერთი შედეგია, ჯერ კიდევ ფართოდ არ არის ლო მეცნიერული კვლევა უბლიკაში მიმდინარე იმ ღრმა ცესებისა, რომლებიც დამახა-ებელია თანამედროვე საზო-ების ცხოვრებისათვის. გაუ-ობა, მწვავე პრობლემების თ მოკრძალება განპირობებულია ძველი ნაცნობი სენით: ახლის წინაშე შიშით, თავიზღვევიანობით, ყოველივე იმის გაუგებლობით, რაც იბადება და ვითარდება. ადვილი შესაძლებელია, რომ ეს ზოგიერთების უნდობლობისა და სკეპტიციზმის ჩვეული ინერციაც იყოს.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის დღევანდელი საქმიანობის შესანიშნავი მონაპოვარია პარტიული ხელმძღვანელობისა და უფართოესი მასების ერთიერთიანობის აღდგენა. ეს პროცესი ორმხრივ მიმდინარეობს. პირველი, ცენტრალური კომიტეტის პრინციპული ხაზიდან გამომდინარე, პარტიული ორგანიზაციების პრაქტიკული საქმიანობა ყოველდღიურად ამაღლებს მის პრესტიჟს მშრომელებს შორის; და მეორეც, განსაკუთრებით თვალნათლივ ვლინდება თვით პარტიული ორგანოების სრული ნდობა მშრომელებისადმი. იგი გამოიხატება საზოგადოებრივ ცხოვრებაში თითქმის ყველა მიმართულებით და ვლინდება მრავალი ფორმით. ერთ-ერთი მათგანია რესპუბლიკის საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტაში ფართო მასების აქტიური მონაწილეობა, და აქ ასეთი ფართო საჯაროობის საუკეთესო გზაა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოყენება. არაერთ შესანიშნავ გამოსვლას გაზეთის ფურცლებზე თუ ტელევიზიით დაურაზმავს, დაუფიქრებია ჩვენი საზოგადოება. იყო პირუთვნელი კრიტიკაც, არასასიამოვნოც, თითქოს მიუღებელიც კი, მაგრამ ამ აქციებში ყოველთვის იყო მთავარი — საკითხისადმი გონივრული მიდგომა, პერსპექტივის გათვალისწინება და პრაქტიკული საქმიანობა ხალხის საკეთილდღეოდ. ეს ჯანსაღი გარემო თანდათან ყალიბდება და ჩვენი ცხოვრების წესი ხდება.

ალბათ, გახსოვთ, რა მითქმა-მოთქმა გამოიწვია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ". გამოჩნდნენ „თეორეტიკოსები", რომლებიც ამას ეროვნული ტრადიციების ხელყოფის ცდადაც კი მიიჩნევდნენ, თუმცაღა გუნებაში ყველა ფიქრობდა, რომ ქელეხებმა, ქორწილებმა და სხვა მსგავსმა მოვლენებმა შეიძინეს ისეთი ფორმა, რომელთანაც შეგუება უკვე შეუძლებელი იყო, თვლიდნენ მას მომხვეჭელობითა და უპატიოსნო ცხოვრებით გაქსუებულ ადამიანთა ფსიქოლოგიის გამომხატველად. იგივე რელიგიური დღესასწაულები, — გავიხსენოთ თუნდაც გ. რჩეულიშვილის მოთხრობა „ალავერდობა" და მის მიხედვით გ. შენგელაიას მიერ შექმნილი ფილმი; გავიხსენოთ, რა მახინჯ, ადამიანისათვის ზოგჯერ შეურაცხმყოფელ ურთიერთობებზე ამახვილებენ ჩვენს ყურადღებას ეს ნაწარმოებები, და მაინც ასეთ სიმახინჯეთა დაცვაც კი ზოგიერთისათვის პრესტიჟის საქმედ იქცა. დღეს უკვე ბევრი რამ მოგვარდა: ბევრი მავნე, მახინჯი ადათ-წესი თანდათანობით წარსულს ბარდება, ცხოვრებაში მკვიდრდება ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური ტრადიციები, ახალი ხალხური დღესასწაულები.

ეს ძველი დღეობების მექანიკური გადმოღება კი არ არის, არამედ თვისებრივად ახალი ტრადიციაა. ასეთი მიმზიდველი ფორმის, ღრმაშინაარსიანი ღონისძიებები ორგანულ კავშირშია ცხოვრების თანამედროვე დონესთან, ხალხის შრომასთან, კულტურასთან, ითვალისწინებს მის ფსიქოლოგიასა და მისწრაფებას, გონივრულად იყენებს ჯანსაღ ეროვნულ ტრადიციებს. აქ ვერ ნახავთ გადაჭარბებულ ლოზუნგომანიას, ძალდატანებას; პირიქით, მათი მიმზიდველობა ფესვდება იმით, რომ ცხოვრების წესი აღიქმება, როგორც ზეიმის ბუნებრივი შემადგენელი ნაწილი. ავიღოთ, თუნდაც, „თბილისობა", როგორც ეტალონი ამგვარი ზეიმებისა. მასში ღრმა აზრი და შინაარსია ჩადებული. იგი ინტერნაციონალიზმის, მეგობრობის, შრომის, რესპუბლიკის მშრომელთა დაახლოების დღესასწაულია, საუკეთესო, პატიოსანი ადამიანების წარმოჩენის (საპატიო მოქალაქეობა), მშრომელთა წინაშე ხელოვნების მუშაკთა მასობრივი გამოსვლების ამაღელვებელი ზეიმია. ამ დღისათვის განსაკუთრებით ლამაზდება და მშვენდება თბილისი. ჩვენ ხშირად აქცენტი მხოლოდ ძველ თბილისზე გადაგვაქვს, რომელიც მართლაც აღტაცების ღირსია, მაგრამ რამდენი ახალი კუთხე, ახალი ბაღი, სკვერი შენდება! ყოველივე ეს კი ჩვენი პარტიის აღმშენებლობითი გეგმების კონკრეტული ხორცშესხმა, კონკრეტული განხორციელებაა და თავისი ემოციური დატვირთვით გაცილებით ეფექტიანი ზეგავლენის მქონეა, ვიდრე ზოგიერთი, ეგრეთწოდებული წმინდა პროპაგანდისტული ღონისძიება.

იშვა ახალი ტიპის დღესასწაულები, როგორიც არის ა. ჯაფარიძის დღე ონის რაიონში, ჩვენი საბჭოთა კონსტიტუციის დღესასწაულობა, ახალგაზრდობის მეგობრობის დღესასწაული რუხში, შრომის ზეიმი გურჯაანში (წვიმისა და ამინდის ჭირვეულობის მიუხედავად), ხალხის უდიდეს ინტერესს იწვევს ხოლმე, საბჭოთა პოეზიის ზეიმები (საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრემია — „ხუთწლედის მატიანე", მაიაკოვსკის დღეები ქუთაისში); უკვე ყველა რაიონში დამკვიდრდა ინტერნაციონალური მეგობრობის, მუშად თუ კოლმეურნედ კურთხევის დღესასწაულები და ისინი, — ეს დღესასწაულები — ჩვენს მშრომელებში ფართოდ პოპულარულია.

თითოეული მშრომელის, წარმოების, რაიონისა თუ ქალაქისათვის ღირსების საქმედ იქცა სახელმწიფო დროშის აღმართვა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა პატივსაცემად. (მაგალითად, მახარაძის რაიონი).

ასეთი სახალხო დღესასწაულების ორგანიზატორები პარტიის რაიკომები არიან. ისინი ყველაფერს აკეთებენ, რათა ამ დღესასწაულებს მისცენ ჩვენთვის სასარგებლო მიმართულება, განსაზღვრონ მათი პოლიტიკური შინაარსი. ბევრი რამ კეთდება იმისათვის, რომ ჩვენი ყოფა, ჩვენი ცხოვრება საინტერესო, მიმზიდველი, ხალისიანი იყოს. თუმცა ზოგს თეთრი მაინც შავად ეჩვენება და შავიც ისევ თეთრი ჰგონია, რადგან მას ასე სურს, ასეთი პოზიცია აქვს, შეურჩევია თავისთვის „ორიგინალური კრიტიკოსის" როლი, თავისივე არჩეულ გზას დამონებია და ცხოვრებისეული დიალექტიკის საწინააღმდეგოდ, საკუთარი მანტიის ფერით განსაზღვრავს სინამდვილისადმი დამოკიდებულებას.

ჩვენი ეროვნული კულტურის უწმინდესი თვისებები ყოველთვის იყო ფართო გაქანება, უაღრესად ინტერნაციონალური სულისკვეთება, საკუთარისადმი ერთგული სიყვარული და სხვისადმი ღრმესი პატივისცემა, რომლის გარეშე თვით პატრიოტიზმიც კი არ არსებობს.

ქართული ფოლკლორის საღამოზე, რომელსაც ერთად ვესწრებოდით, თქვენ — ყრილობის დელეგატებმა, დღევანდელობის აღიარებულმა გმირებმა, ბევრი უბრალო და მართალი სიტყვა მოისმინეთ თქვენსავით ალალი, ცხოვრებისეული სიბრძნით სავსე მშრომელი ადამიანებისაგან.

უკვდავია თავისუფალი შრომის ადამიანი. ქება-დიდება შესახა მას — განა ეს არ არის უკეთილშობილესი ამოცანა! და ეს კეთდება სულ უფრო ნიჭიერად და ქმედითად.

ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები არა მარტო მხარს უჭერენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის კურსს, არამედ თავიანთი შემოქმედებით აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივი აზრის გაჯანსაღების საქმეში.

ამ რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთ პლენუმზე ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარე პოზიტიურ პროცესებს მოსწრებულად უწოდეს „ზნეობრივი რევოლუცია". დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ზნეობრივი რევოლუციის" პირველ ნაყოფს უკვე ვიმკით. რით გამოიხატება იგი? საანგარიშო მოხსენებაში ითქვა და კვლავ მინდა გავიმეორო, რომ საყოველთაო აღიარება პოვა საბჭოთა საქართველოს მრავალეროვანი სამეცნიერო და შემოქმედი ინტელიგენციის ამ ბოლო წლების მიღწევებმა. მართლაცდა, საოცარი აღორძინების მოწმენი ვართ. ცხადია, ეს ჯადოსნური ჯოხის ერთი დაქნევით არ მომხდარა. აქ თავისი როლი შეასრულეს იმ კულტურულმა მემკვიდრეობამ, იმ საუკეთესო ტრადიციებმა, რომელთაც საუკუნეებით ქმნიდნენ თაობები და რომელთა განსაკუთრებული აყვავებაც საბჭოთა სინამდვილეში მოხდა. ამ მიზეზების ობიექტური ანალიზი მოხსენებაში რელიეფურად იყო გამოკვეთილი. მინდა დავუმატო, რომ დღევანდელმა თაობამ ნიჭიერად მოჰკიდა ხელი ისეთ საყოველთაო პრობლემას, რომელიც ყველას აწუხებს და რომელსაც ზნეობრივი პრობლემა ჰქვია.

ამის გამოა, რომ ნოდარ დუმბაძე ერთ-ერთი უსაყვარლესი და საყოველთაოდ აღიარებული მწერალია. რეზო ჩხეიძის ფილმმა რაიკომის მდივანზე (თემა, რომელიც არაერთგზის აჟღერებულა და, სამწუხაროდ, ტრაფარეტადაც იქცა) გულწრფელი აღტაცება გამოიწვია, რობერტ სტურუას სპექტაკლები მსოფლიოს იპყრობს; დღეს არ გვიკვირს, რომ ქართული საბჭოთა კინო შორს გასცდა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს (არა კოლორიტისა და ეგზოტიკის გამო, არამედ ცოცხალი ადამიანის წარმოსახვით, მისი ფიქრებითა და მისწრაფებებით); სწორედ თანამედროვეობის მწვავე პრობლემებისადმი აქტიური მიდგომით გამოირჩევა ლანა ღოღობერიძის ფილმი; თანამედროვეობას ეხება საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის თენგიზ აბულაძისა და ელდარ შენგელაიას ახალი ფილმები; ქართული მუსიკის დღევანდელ საუკეთესო წარმომადგენლებს მსოფლიოში იცნობენ, მხატვართა მძლავრი ნაკადი თანდათანობით იპყრობს ახალ მწვერვალებს, შესანიშნავი მიღწევები აქვს საბჭოთა აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის ლიტერატურასა და ხელოვნებას.

აქ შეიძლება ვინმემ ირონიულადაც იკითხოს, განა რა მოხდა? ეს პრობლემები განა სხვა დროს არ აწუხებდათ, ან ეს თემა ახალი ხომ არ არისო? ვეთანხმებით ოპონენტებს, მაგრამ აქ ერთი თავისებურებაა, ერთიც მთავარი, რომ ჩვენმა შემოქმედმა ინტელიგენციამ თანამედროვე თვალთახედვით, დღევანდელი დღის სიმაღლიდან მოჰკიდა ხელი ადამიანისა და მისი ცხოვრების აზრის განმსაზღვრელ ღირებულებათა პრობლემებს.

წარმატების საიდუმლოება კი ის არის, რომ თითოეული მათგანი ისეთ პრობლემებს მიეტანა, რომელთა პრაქტიკული გადაჭრა დღეს გვიხდება და რომლებიც თვალდ დაინახეს, განიცადეს და ახლობელი აღმოჩნდა მათთვის.

იდეოლოგიური მუშაობა, ადამიანის სულისა და ზნეობრივი სისპეტაკისათვის შრომა რთული და მრავალმხრივია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამაზე უკვე იყო სრული და ამომწურავი საუბარი. აქ გაკეთებული ანალიზი და პერსპექტივისათვის გამიზნული დებულებანი ძირითადი სამოქმედო პროგრამა იქნება მთელი ჩვენი შემდგომი საქმიანობისათვის.

საანგარიშო მოხსენებაში სერიოზული შენიშვნები გამოითქვა ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის, მისი ცალკეული უბნებისა და მიმართულებების გამო.

მაგრამ კრიტიკიდან სწორი დასკვნების გამოტანა საჭიროა. და ჩვენ გამოვიტანეთ კიდეც ასეთი დასკვნები.

ეს მხოლოდ ჩვენს მიმართ გამოთქმული შენიშვნების შესარბილებლად როდია ნათქვამი. საქმე ეხება კრიტიკის სწორად გაგებას, უკეთ მუშაობის აუცილებლობას, იმას, რომ პარტია დღეს იდეოლოგიური ფრონტის ყოველი მუშაკისაგან უფრო მეტს მოელის. საკითხები, რომლებსაც დღეს ჩვენ ვწყვეტთ, მოვლენები, რომლებიც ჩვენს სინამდვილეში ხდება, მოითხოვს უდიდესი ტაქტითა და ყურადღებით მიდგომას, ყოველი წვრილმანის გათვალისწინებას, პერსპექტივის ხედვით მუშაობას. ასეთ მუშაობაში ძალზე გვეხმარება ის ამბავი, რომ ჩვენს საქმიანობაში თითქმის არ არსებობს ისეთი საკითხი, რომელიც თვით მეტისმეტად დაძაბული მუშაობის პირობებშიც კი არ იყოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, პირადად ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის ყურადღების საგანი. საერთოდ, ასეთია ჩვეულებრივი სამუშაო ატმოსფერო, ყველაზე აქტუალური საკითხებისადმი დამოკიდებულების პარტიული სტილი, და თუ გვინდა, რომ ადამიანის აღზრდის საქმეში პარტიულ ზემოქმედებას ეფექტი ჰქონდეს, საჭიროა, მუშაობის ასეთი სტილი მაგალითი იყოს პარტიული კომიტეტების ყოველი პირველი მდივნისათვის. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჯერ კიდევ ზოგიერთ პირველ მდივანს აღმზრდელობითი მუშაობა მეორეხარისხოვანი საქმე ჰგონია, ხოლო იდეოლოგიის დარგის მდივანი — მხოლოდ ღონისძიებათა ორგანიზატორი. მომავალში გრანდიოზული, რთული სამუშაო გეგმა ისახება ჩვენს წინაშე და, თუ გვინდა, რომ იდეოლოგიური მუშაობა სრულად შეესაბამებოდეს ჩვენს წინაშე დასახულ ამოცანებს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებებს, საჭიროა კვლავ და კვლავ მუყაითი შრომა, საჭიროა კვლავ და კვლავ დაბეჯითებული მუშაობა საკუთარ თავზე და იდეოლოგიური პროცესების მართვა ღრმა ცოდნით, მაღალი კომპეტენტურობით (ეს უნდა გავითვალისწინოთ ყველამ, როგორც პირადად მე, ისე ყველა მდივანმა, ყოველმა იდეოლოგიურმა მუშაკმა). სწორედ ეს არის ჩვენი წარმატების გარანტია.

მხოლოდ ამგვარ მუშაობას, საგნებისა და მოვლენებისადმი ასეთ დამოკიდებულებას შეუძლია ნამდვილად მოგვანიჭოს წარმატებული შრომის ბედნიერება, მხოლოდ იგი შეესაბამება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ".

ბედნიერება კი, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ბრძოლაა, როგორც ამას კარლ მარქსი ამბობდა. სწორედ ასეთ ბრძოლაში ვართ ჩვენ. ეს ბედნიერებაც არის და პატივიც, რადგან საქმე ეხება რესპუბლიკის უფრო ნათელი ხვალინდელი დღისათვის ბრძოლას და უნდა გავუფრთხილდეთ ამ პატივს, ყველაფერი ვიღონოთ პარტიის, ხალხის ამ დიდი ნდობის გამართლებისათვის. (ტაში).

ამხ. მ. ნ. თევდორაშვილის სიტყვა

(თბილისის ტრიკოტაჟის საცვლების საწარმოო გაერთიანების პარტიული კომიტეტის მდივანი)

ამხანაგებო! რესპუბლიკის კომუნისტთა დიდი ფორუმისათვის სამზადისი ჩვენი მიღწევებისა და შესაძლებლობების დათვალიერებად იქცა. ეს არის ნაღვაწის შედეგების შეჯამების პერიოდი, დრო, როცა ვსახავთ კონკრეტულ სამოქმედო პროგრამას, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედოს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების უახლოესი ათწლეულის ძირითად მიმართულებათა პროექტი. ამ ამოცანების მიხედვით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი საქმიანობის ყველა უბანზე კომუნისტთა ავანგარდული როლის, მათი შემოქმედებითი აქტიურობის, პარტიის ძირითადი რგოლის — პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას. სწორედ ამიტომ რესპუბლიკის დედაქალაქის პირველადი პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ყურადღების ცენტრშია სახელმწიფო გეგმების ღრმა ანალიზი, ძირითადი ტენდენციების გარკვევა და ჩვენი საქმიანობის აღმავალი გზით წარმართვა.

ახალი ხუთწლედის სტარტზე რთული ამოცანები დგას ჩვენი კოლექტივის წინაშე. მაგრამ მათ გადაწყვეტაზე უარყოფით გავლენას ახდენს გაერთიანებაში შემავალი ნართავი ფაბრიკის ქრონიკული ჩამორჩენა. ნართის, ამ ძირითადი ნედლეულის, წარმოების გეგმის შეუსრულებლობა გამოუვალ მდგომარეობაში აყენებს არა მარტო გაერთიანებას, არამედ მასთან კოოპერირებულ საწარმოებსაც. არსებული სიმძლავრეებით კი ფაბრიკა ნართის გამოშვების მესამედსაც ვერ უზრუნველყოფს. წლიდან წლამდე იცვლება ფაბრიკის ხელმძღვანელობა, მდგომარეობა კი არ უმჯობესდება. ასე რომ, უკვე ახლა ჩაშლის საფრთხე ემუქრება მასობრივი მოთხოვნის ტრიკოტაჟის მიმდინარე ხუთწლედში დაგეგმილი ოდენობით გამოშვებას. ვფიქრობთ, რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ საკავშირო სამინისტროსთან შეთანხმებით რადიკალური ზომები უნდა მიიღოს და გადაწყვიტოს, ბოლოს და ბოლოს, ფაბრიკის რეკონსტრუქციის საკითხი.

გარკვეული სიძნელეები შეგვექმნა გლდანის ფაბრიკაშიც. ჩვენს რესპუბლიკას შემატა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი, კეთილმოწყობილი მძლავრი საწარმო, მაგრამ ამ ფაბრიკაში დღემდე გადასაჭრელია არაერთი პრობლემა. ფაბრიკა ორი წლის წინათ ამოქმედდა, მაგრამ იქ ჯერ კიდევ ბევრია ხარვეზი. ფაბრიკის საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ ჩვენი გენერალური მოიჯარადრე ორგანიზაციის ხელმძღვანელი ამხანაგი ვ. გოგოლაძე მშენებლობის მინისტრის პოსტზე დაწინაურდა და ვფიქრობთ, მეტ დახმარებას გაგვიწევს, არ დაგვზარდება ამ „წვრილმანების" მოგვარებას.

ამჟამად ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ შრომითი კოლექტივების სოციალური განვითარების საკითხებს. გაერთიანებაში ამ მხრივაც ბევრი რამ უნდა გაკეთდეს, ჩვენი გაერთიანება სპეციფიკურია. რესპუბლიკაში, ალბათ, ბევრი არ არის ორგანიზაცია, სადაც 4500-ზე მეტი ქალი მუშაობს. ქალთა კოლექტივს თავისი პრობლემები აქვს: ქალი მშრომელი, ქალი შვილების დედა, ქალი მეუღლე, მას მეტი გულისხმიერებით უნდა მოვეკიდოთ, მეტი შეღავათები უნდა მივცეთ. ამაზე იყო ლაპარაკი დედაქალაქის XXXVIII პარტიულ კონფერენციაზე. ჩვენი კოლექტივი ძალ-ღონის დაუზოგავად შრომობს, რომ სახელმწიფო დავალებანი პირნათლად შეასრულოს. კოლექტივში ზრუნვა მუდამ უნდა იგრძნობოდეს. სამწუხაროდ, ხშირად ეს ასე არ არის. მაგალითად, გლდანის ფაბრიკის მშენებლობისას აქ არ გაუთვალისწინებიათ საბავშვო ბაგა-ბაღის, საერთო საცხოვრებლის, სპორტული მოედნების აგება. მიკრორაიონში, სადაც ფაბრიკაა განლაგებული, დღემდე არაა სასურსათო და სამრეწველო მაღაზიები, საპარიკმახერო და სხვა საყოფაცხოვრებო ობიექტები. ყველა ამ საჭირბოროტო საკითხზე ითქვა ჩვენი გაერთიანების პარტიულ კონფერენციაზე. ითქვა იმიტომ, რომ კომუნისტებს სჯერათ, რომ მათ შენიშვნებს ყურად იღებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ პარტიული ორგანიზაციების ძირეული რგოლების აქტიურობის ასამაღლებლად კვლავაც ბევრი მუშაობა გველის. ყრილობაზე გამოსასვლელად რომ ვემზადებოდი, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში კოლეგებს — დედაქალაქის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებს შევხვდი. მათთან საუბარში სხვა საკითხებთან ერთად ერთიანი აზრი გამოიკვეთა იმის თაობაზე, რომ ორგანიზატორულ-პოლიტიკური მუშაობის ფორმები და მეთოდები შემდგომ დახვეწასა და სრულყოფას საჭიროებს. ჩვენი აზრით, ჯერ კიდევ სრულყოფილი არ არის ცალკეულ კომუნისტებთან მუშაობის ფორმები. ყურადღება უნდა მიექცეს იმის საჭიროებას, რომ განვაზოგადოთ საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილება. აქ არის თავისებურებანი. ჩვენ გვეჭირს, მაგალითად, მივაღწიოთ წარმოების ყველა რგოლის მოქმედების ერთიანობას, ვინაიდან ზოგიერთი რგოლი ტერიტორიულად განლაგებულია ქალაქგარეთ და ადგილობრივი პარტიული კომიტეტების პარტიულ დაქვემდებარებაშია. უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად ამაღლდა იდეოლოგიური მუშაობის დონე. მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების სისტემაში ხელმძღვანელი მუშაკების მონაწილეობა საგრძნობ შედეგს იძლევა. ყოველგვარი სასიკეთო სიახლე შედეგიანია. ამიტომ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწავლების არსებულ სისტემაში ახალი ფორმები და მეთოდები უნდა დაინერგოს, რათა დავაინტერესოთ მსმენელები, სათანადო ინსტიტუტებმა, რესპუბლიკის პოლიტიკური განათლების სახლმა კი მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ამას. ჩვენ ვფიქრობთ აგრეთვე, რომ რესპუბლიკის დედაქალაქს, სადაც ბევრი პროპაგანდისტი და მსმენელია, უნდა ჰქონდეს თავისი პოლიტიკური განათლების სახლი.

საანგარიშო პერიოდში რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ახალი ტრადიციების შექმნასა და დამკვიდრებას. აქ ითქვა „თბილისობის" შესახებ. იგი უკვე გახდა ტრადიციული თავისი ცხოველმყოფელობისა და აუცილებლობის გამო, აღიარება და მოწონება დაიმსახურა, კერძოდ ჩვენი გაერთიანების კოლექტივში „თბილისობა" ჩვენი საწარმოს 19 ეროვნების წარმომადგენელთა საერთო დღესასწაულად იქცა. ეს დღესასწაული ემსახურება ყველა იმ მიზანს, რომლებითაც ცხოვრობს და საქმიანობს ჩვენი თანამედროვე. არ შეიძლება იყო ნამდვილი თბილისელი და გულით არ გიყვარდეს ჩვენი დედაქალაქი, მთელი რწმენით არ ემსახურებოდე მას. (ტაში).

ამხ. მ. ი. ყურბანოვის სიტყვა

(მარნეულის რაიონის კასუმლოს მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის აგროგანყოფილების მმართველი)

ამხანაგებო! ჩვენ მოვისმინეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, რომელიც გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძემ.

მოხსენებაში ასახული უდიდესი მიღწევები ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკაში, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების დარგში, უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს, იწვევს ჩვენი მრავალეროვანი რესპუბლიკის ყველა მშრომელის სიამაყეს. მე, როგორც ყრილობის დელეგატმა, მარნეულის რაიონული პარტორგანიზაციისაგან, უნდა ვუთხრა ყრილობას, რომ ჩვენი მრავალეროვანი რაიონის ყველა მშრომელი ღრმად გრძნობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ზრუნვას, სჯერა მისი, ვხედავთ, რა დიდი ცვლილებები მოხდა ჩვენში უკანასკნელი წლების მანძილზე მისი ყოველდღიური ზრუნვის შედეგად.

რაიონში გაუმჯობესდა მუშა-მოსამსახურეთა საბინაო-კომუნალური პირობები. კეთილმოწყობილია სოფლები და ქალაქი მარნეული. აშენდა სკოლები და სკოლამდელი დაწესებულებები.

დღევანდელ მარნეულის რაიონს ბევრი რამ განასხვავებს ძველისაგან. ეს არის ახალი კულტურის სახლები, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების თანამედროვე ობიექტები. ქალაქის ცენტრს ამშვენებს მრავალსართულიანი შენობები.

დიდი ცვლილებები მოხდა რაიონის სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაში. სამრეწველო პროდუქციის მოცულობა უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ათჯერ, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა სამჯერ გაიზარდა.

შესამჩნევად ამაღლდა სოფლელთა ცხოვრების დონე. მცხოვრებთა უმრავლესობამ მიწურების ნაცვლად ორსართულიანი კეთილმოწყობილი სახლები აიშენა. ახლა უკვე ძნელია ნახოთ ოჯახი, რომელსაც მსუბუქი ავტომანქანა არ ჰყავდეს.

ცხოვრება უკეთესი გახდა, იმიტომ, რომ ჩვენც უკეთ ვმუშაობთ.

უკანასკნელი სამი წელია რაიონს ანიჭებენ რესპუბლიკის გარდამავალ წითელ დროშას. მარნეულელთა პატივსაცემად, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს მეათე ხუთწლედი, საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე აღმართეს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა.

ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით სახელმწიფოს მიეყიდა 12 ათას ტონაზე მეტი მარცვლეული, 20 ათას ტონამდე საადრეო კარტოფილი, 66 ათას ტონაზე მეტი ბოსტნეული, ათას ტონაზე მეტი ხორცი, 2500 ტონა რძე, დაახლოებით 1500 ტონა ეთერზეთოვანი კულტურები და სხვა სოფლის მეურნეობის პროდუქცია. ეს მაჩვენებლები თვალნათლივ ასახავენ რაიონის მშრომელთა წარმატებებს.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არა გვაქვს ნაკლოვანებანი, გადაუწყვეტელი პრობლემები. პრობლემები გვაქვს, და ჩემის აზრით ისინი მარტო ჩვენ როდი გვეხება.

უკანასკნელ წლებში ჩვენი რაიონი დასპეციალდა საადრეო კარტოფილის წარმოებაზე. საერთო საკავშირო ფონდში კარტოფილის მიწოდების ამოცანა მარტო ჩვენი ამოცანა კი არა, საერთო ამოცანაა.

ხარისხოვანი პროდუქციის 70 პროცენტზე მეტს ვგზავნით გადახურული და არა სპეციალური ვაგონებით. რკინიგზის მუშაობაში ნაკლოვანებათა გამო მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისისა და სხვა ქალაქების მცხოვრებნი უხარისხო პროდუქციას იღებენ.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს კი არაერთხელ აღუნიშნავს, რომ მომხმარებელი პროდუქციის ხარისხზე იმის მიხედვით მსჯელობს, რასაც ხედავს და რისი ყიდვაც შეუძლია მაღაზიაში.

უნდა გითხრათ, რომ უხარისხო პროდუქციის მიწოდებისათვის ამ ქალაქების მცხოვრებნი ნამდვილ დამნაშავეებს — რკინიგზის წარმომადგენლებს კი არ დაადანაშაულებენ, არამედ ჩვენ.

ეს საქმის ერთი მხარეა, მეორე კი ის არის, რომ ჩვენ დიდ ზარალს განვიცდით — მარტო 1980 წელს ამ ზარალმა ნახევარმილიონ მანეთზე მეტი შეადგინა, ნატურით კი ეს ჩვენს მიერ გაგზავნილი მთელი პროდუქციის 10 პროცენტია.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც გვაწუხებს, შემსრულებლის კეთილსინდისიერებაა. ამაზე ჩვენს რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე ვილაპარაკე, და აქ, ყრილობაზე, მინდა განვაგრძო საუბარი, რადგან იგი დიდმნიშვნელოვან საკითხად მიმაჩნია.

ყველამ ვიცით, რომ უნდა განვავითაროთ მეცხოველეობა. ეს ყველა ჩვენგანს უნდა! არა მარტო გვინდა, არამედ დღე და ღამე ვმუშაობთ რძისა და ხორცის წარმოების გაზრდის პრობლემის გადასაწყვეტად.

მაგრამ ზოგიერთი ამხანაგის უყურადღებობისა თუ მოუმზადებლობის გამო უდიდეს შესაძლებლობებსა და რეზერვებს ვკარგავთ.

ჩვენი რაიონის ხუთ მეურნეობაში გვაქვს სოლიდური საკვები ბაზა, გვყავს მუშახელიც. მაგრამ, სამწუხაროდ, საბჭოთა მეურნეობების ვიწრო სპეციალიზაციამ მიგვიყვანა იქამდე, რომ ამ საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობა საერთოდ აღარ არის!

უკვე სამი წელია, რაც პარტიის რაიკომმა ხელი მოჰკიდა ამ პრობლემას, ამ შეცდომის გამოსწორებას. ყველაფერი გამოვიანგარიშეთ, გამოდის, რომ ყოველწლიურად შეგვიძლია სახელმწიფოს ჩავაბაროთ საშუალოდ ათას ტონაზე მეტი რძე და ორას ტონაზე მეტი ხორცი. ეს კი ნიშნავს, რომ მოგება იქნება, ხოლო დანახარჯები მინიმალური დაგვჭირდება.

ჩვენი ეს წინადადება მოიწონეს ზემდგომ ორგანოებში, სოფლის მეურნეობის სამინისტროში. ყველა თანახმაა, მნიშვნელოვანი საკითხი კი აგერ უკვე მესამე წელია არ წყდება მხოლოდ იმიტომ, რომ განძრევა არ სურს, მაპატიეთ ასეთი გამოთქმისათვის, მთავარ ან რიგით სპეციალისტს.

ასეთი „პრობლემა" ბევრი გვაქვს. ჩვენში ძალიან მწვავედ აკრიტიკებენ საქმის გაჭიანურებასა და ბიუროკრატიზმს. ამ სენს სერიოზულად ებრძვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი. ვფიქრობთ, რომ გამჭიანურებლებს კიდევ უფრო მკაცრად უნდა მოვთხოვოთ. მაქვს კიდევ ერთი წინადადება, რომელიც სასურსათო პროგრამის განხორციელებასთან არის დაკავშირებული. ამ პროგრამის ბედს საშუალო რგოლის ხელმძღვანელებიც წყვეტენ. ვფიქრობ, საჭიროა ყოველმხრივ ამაღლდეს მათი როლი და ავტორიტეტი, მიზანშეწონილად მიმაჩნია დაინერგოს ბრიგადებში შიდასამეურნეო ანგარიში, შეიქმნას ბრიგადირის ფონდი.

ბრიგადებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამეურნეო ანგარიშის დანერგვა შესაძლებლობას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ გათანაბრება და სრულად განვახორციელოთ სოციალიზმის პრინციპი: „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით".

დასასრულ ნება მომეცით აღვუთქვა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას, რომ რაიონის კომუნისტები, ყველა მშრომელი ძალ-ღონისა და ენერგიის არ დაიშურებენ პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის და თავიანთ წვლილს შეიტანენ მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში! (ტაში).

საერთაშორისო ცხოვრება

დღევანდელის ფურცელზე

28 იანვარი

შეხვედრა მადრიდში

მადრიდი. აქ განახლდა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოების წარმომადგენელთა შეხვედრა.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ლ. თ. ილიჩოვმა პლენარულ სხდომაზე გამოსვლისას აღნიშნა, რომ მადრიდის შეხვედრა წინათ შეტანილი წინადადებების განხილვის, საბოლოო დოკუმენტის შემუშავების გადამწყვეტ ეტაპში შევიდა.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა შეაფასა ჩატარებული მუშაობა და აღნიშნა: იმის მიუხედავად, რომ თავს ესხმიან დაძაბულობის შენელების პოლიტიკას, ცდილობენ ძირი გამოუთხარონ ან სახელი გაუტეხონ ჰელსინკის შეთანხმებებს. მადრიდის შეხვედრა ადასტურებს, რომ მშვიდობისა და უშიშროების, დაძაბულობის შენელების, თანაბარუფლებიანი ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის იდეა მტკიცედ დამკვიდრდა ევროპის ხალხთა შეგნებაში.

მადრიდის შეხვედრაზე ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება, როგორიცაა ევროპაში სამხედრო დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების საკითხებზე კონფერენციის მოწვევა, ნაყოფიერ გავლენას მოახდენდა ჰელსინკში დაწყებულ მთელი საერთოევროპული პროცესის გაგრძელებაზე.

ი. განდის განცხადება

დელი, ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ გაზეთ „სიდნეი მორნინგ ჰერალდისათვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ პაკისტანის მიერ ბირთვული პოტენციალის შექმნა მარტო ინდოეთისათვის როდია სახიფათო. ჩვენ ბირთვული შეიარაღების წინააღმდეგნი ვართ და არ გვსურს შევეჯიბროთ პაკისტანს ამ დარგში, ხაზგასმით აღნიშნა მან.

პრემიერ-მინისტრმა დაგმო იაპონიის, ავსტრალიისა და ასეანის ქვეყნებს შორის სამხედრო თანამშრომლობის გეგმები და აღნიშნა, რომ სამხედრო დაჯგუფებების შექმნა იწვევს საპასუხო რეაქციებს და მხოლოდ მსოფლიოში დაძაბულობის გამწვავებისაკენ მივყავართ.

გაზეთის კითხვაზე, თუ რატომ ეპყრობიან დასავლეთის ქვეყნები ინდოეთს უპატივცემლოდ, ინდირა განდიმ თქვა: ეს სავსებით ნათელია. მათ არ მოსწონთ, რომ ჩვენ ეგზომ დამოუკიდებელნი ვართ.

პრემიერ-მინისტრმა მაღალი შეფასება მისცა მიუმხრობლობის მოძრაობის ქმედითობას. ამ ჯგუფის სახელმწიფოებს შორის შეიძლება იყოს ცალკეული უთანხმოებანი, თქვა მან, მაგრამ ჩვენ ერთად ვართ მთელი მოძრაობისათვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში, როგორიცაა მშვიდობის შენარჩუნება დედამიწაზე.

აგროვებენ ხელმოწერას

ბონი. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში კვლავ აგროვებენ ხელმოწერას დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრიობის კრეფელდის ფორუმის მოწოდებაზე — „არავითარი ბირთვული რაკეტები ჩვენს მიწაზე".

როგორც გაზეთი „უნზერე ცაიტი" აღნიშნავს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობისადმი მოთხოვნას — უარი თქვას ნატოს რაკეტულ-ბირთვულ გეგმებზე — უკვე ხელი მოაწერეს რურის სამრეწველო ქალაქების დუისბურგის, დიუსელდორფის, ესენის, კრეფელდის ათიათასობით მუშამ, აგრეთვე ქვეყნის მრავალი პროგრესული და დემოკრატიული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა.

გაიტაცეს ტერორისტებმა

სან-სალვადორი. სალვადორის ადამიანის უფლებათა კომისია იუწყება, რომ ულტრამემარჯვენე ტერორისტებმა სან-სალვადორში გაიტაცეს კომისიის მდივანი ვიქტორ მედრანო.

ადამიანის უფლებათა კომისია, რომელიც თანამიმდევრულად ამხილებს ხუნტის ტერორს, რეაქციის მხედრიონის და მისი ლოცვა-კურთხევით მოქმედი ფაშისტური დაჯგუფებების მუდმივი სამიზნეა. კომისიის შენობაში მათ მოაწყეს აფეთქებების სერია. მისმა ხელმძღვანელებმა მრავალი მუქარის ბარათი მიიღეს, ხოლო სამი თვის წინათ ორი მათგანი გაიტაცეს და მოკლეს.

სად რა მოხდა

ჩაიძირა „ტამპონას-2"

ჯაკარტა. დიდი კატასტროფა მოხდა იავის ზღვაში, ჯაკარტიდან დაახლოებით ათას კილომეტრზე ჩრდილო-აღმოსავლეთით. სამი დღის წინათ ჩაიძირა ინდონეზიის სამგზავრო გემი — ბორანი „ტამპონას-2", რომელიც ნახევარი წლის წინათ ინდონეზიას იაპონიის ერთ-ერთმა კომპანიამ მიჰყიდა. გემზე იმყოფებოდა ათასზე მეტი მგზავრი. ჯერჯერობით მაშველმა გემებმა გადაარჩინეს ხუთასამდე კაცი, რომლებიც წყალში გადახტნენ. მაშველ სამუშაოებს აფერხებს ძლიერი წვიმა და ღელვა.

როგორც ვარაუდობენ, კატასტროფის მიზეზი იყო აფეთქება სამანქანო განყოფილებაში, რომლის შედეგადაც გემზე ძლიერი ხანძარი გაჩნდა.

ჭადრაკი

პარტია გადაიდო

პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

ბუზინი გაიმართა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტების ნანა ალექსანდრიასა და ნანა იოსელიანის ფინალური მატჩის მეოთხე პარტია. თეთრებით თამაშობდა ალექსანდრია. პარტია გადაიდო ალექსანდრიას პოზიციური უპირატესობით. გთავაზობთ ამ შეხვედრის ჩანაწერს:

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მc3 კb4 4. e3 0-0 5. მge2 d5 6. a3 კe7 7. cd ed 8. g3 a5 9. კg2 c6 10. 0-0 მa6 11. ლc2 ეe8 12. კd2 მc7 13. ეad1 მe6 14. კc1 h6 15. f3 c5 16. dc კ:c5 17. მფh1 b6 18. მ:d5 მ:d5 19. e4 მec7 20. მc3 კa6 21. ეe1 კb7 22. ed მ:d5 23. f4 ე:e1+24 ე:e1 მ:c3 25. კ:b7 ეb8 26. კg2 მb5 27. ლc4 მd6 28. ლd5 ლf6 29. კf3 ეd8 30. ლc6 ლf5 31. კd2 ეc8 32. ლd5 ლ:d5 33. კ:d5 კd4 34. b3 ეc5 35. კf3 ეc2 36. ეd1 კc5 37. b4 მc4 38. კe1 მe3 39. ეd8+ კf8 40. მფg1 ეc1 პარტია გადაიდო. ანგარიშია კვლავ 2:1 ალექსანდრიას სასარგებლოდ.

ნონა გაფრინდაშვილი — უძლიერესი

ბუზინი გაზეთ „კომუნისტის" რედაქცია ტელეფონით დაუკავშირდა იუგოსლავიის ქალაქ იაცეში გამართულ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულ მსოფლიო ექსჩემპიონს ნონა გაფრინდაშვილს და წარმატება მიულოცა. მან თქვა: ტურნირი საკმაოდ ძლიერი შემადგენლობისა იყო და პირველობისათვის ბრძოლა დაძაბულად წარიმართა. საბოლოოდ 12 შესაძლებლიდან 8,5 ქულა დავაგროვე და უძლიერესის წოდება მოვიპოვე. 7,5-7,5 ქულით II-IV ადგილები გაინაწილეს იუგოსლავმა ტერეზა შტადლერმა, უნგრელმა ჟუჟა ვერეციმ და ბულგარეთის წარმომადგენელმა ტატიანა ლემაჩკომ. მოსკოველმა მოჭადრაკემ რ. ბილუნოვამ V-VI ადგილები გაიყო.

წილისყრის მოლოდინში

30 იანვარს ჟენევაში (და არა ციურიხში, როგორც ეს გამოცხადებული იყო) გაიმართება ძირითადი ევროპული ტურნირების — ჩემპიონთა, თასების მფლობელთა და უეფას თასების მეოთხედფინალის მონაწილეთა წილისყრა.

ჩვენს მკითხველებს სხვაზე მეტად, ცხადია, თასების მფლობელთა თასის გათამაშება აინტერესებთ. მართლაცდა, როგორია დღეისათვის თბილისის „დინამოს" მეტოქეთა შესაძლებლობები?

წოდებების თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, უპირველესად ლისაბონის „ბენფიკა" უნდა დავასახელოთ. ეს კლუბი ორჯერ — 1961 და 1962 წლებში — იყო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი, 23-ჯერ (!) გახდა პორტუგალიის ჩემპიონი, 16-ჯერ — ამ ქვეყნის თასის მფლობელი. საქმე იქამდე მივიდა, რომ ფეხბურთელთა ამ კლუბს ოფიციალურად უწოდეს „პორტუგალიის სიამაყე". თუმცა, უკანასკნელ წლებში „ბენფიკა" არ ბრწყინავდა. მას გადაასწრეს ქვეყნის სხვა ცნობილმა კლუბებმა „პორტომ" და „სპორტინგმა" (ლისაბონი). მდგომარეობა მხოლოდ მას შემდეგ გამოსწორდა, რაც „ბენფიკას" სათავეში ჩაუდგა განთქმული უნგრელი მწვრთნელი ლაიოშ ბაროტი. ახლა „ბენფიკა" 17 ტურის შემდეგ (დაიწყო ჩემპიონატის მეორე წრე) დამაჯერებლად ლიდერობს 30 ქულით (ბურთების სხვაობა 41-5). იგი სამი ქულით უსწრებს „პორტოს" და ჩემპიონობის მოპოვების ჩინებული შესაძლებლობები აქვს. ერთი საყურადღებო ცნობაც: ამ დღეებში „ბენფიკას" ერთ-ერთი მწვრთნელი გახდა სახელგანთქმული ეუსებიო. საინტერესოა ისიც, რომ პორტუგალიელებმა თასების მფლობელთა თასის ახლანდელ გათამაშებაში გამართეს არა ოთხი მატჩი, როგორც სხვებმა, არამედ ექვსი, რადგან მათ წინასწარი შესარჩევი შეხვედრების გამართვა მოუხდათ.

თუ ვინმე დაიკვეხნის თასების მფლობელთა თასის ახლანდელ გათამაშებებში მოპოვებულ შედეგებს, ეს უპირველესად იენის „კარლ ცაისზე" (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) ითქმის. მან გათამაშება დაატოვებინა „რომას" (რომელთანაც პირველი მატჩი წააგო 0:3) და, რაც მთავარია, თასების თასის უკანასკნელ გათამაშებაში გამარჯვებულ „ვალენსიას". სახელმოხვეჭილმა ფეხბურთელმა კემპესმა, რომელიც „ვალენსიაში" თამაშობს, ძალიან მაღალი შეფასება მისცა გერმანელთა კლუბს. ამ ქვეყნის ჩემპიონატში პირველი წრის შემდეგ ხანგრძლივი შესვენებაა. 13 შეხვედრის შემდეგ „კარლ ცაისი" 19 ქულით მეოთხე ადგილზეა. მას ორ-ორი ქულით უსწრებენ ბერლინისა და დრეზდენის „დინამოს" გუნდები და „მაგდებურგი".

თქმა არ უნდა, თასების მფლობელთა თასის ახლანდელი გათამაშების დაწყებამდე ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად ითვლებოდა დიუსელდორფის „ფორტუნა" (ლათინურად — „ბედი"), მაგრამ მოხდა ისე, რომ „ფორტუნას" შემოდგომაზე აშკარად უმტყუნა ბედმა. თუ იგი წინათ ბუნდესლიგაში საპრიზო ადგილის ერთ-ერთ პრეტენდენტად ითვლებოდა, ახლა ისე მოხდა, რომ „ფორტუნა" მეორე ლიგაში გადასვლის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა! პირველი წრე გუნდმა მეთექვსმეტე ადგილზე დაამთავრა, მხოლოდ ორ კლუბს უსწრებს და ყველაფერი უნდა იღონოს კატასტროფის თავიდან ასაცილებლად.

რა შეიძლება ითქვას ბრიტანული ფეხბურთის ორი წარმომადგენლის შესახებ? ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედი", რომელიც 1965 წელს მურისა და ჰერსტის შემწეობით თასების მფლობელთა თასს დაეუფლა, ახლა ინგლისის მეორე ლიგის ლიდერია. გათამაშების, ცოტა არ იყოს, უცნაური წარმომადგენელია უელსის „ნიუპორტ ქაუნთი", რომელიც დღეისათვის ინგლისის მესამე ლიგის 24 გუნდს შორის მე-17 ადგილზეა. საერთოდ, ევროპულ ტურნირებს არ ახსოვთ შემთხვევა, რომ მასში მესამე ლიგის წარმომადგენელს მიეღოს მონაწილეობა. როგორც გაზეთი „დოიჩეს შპორტეხო" აღნიშნავს, ამ გუნდმა დღემდე გათამაშებიდან ორი სუსტი კლუბი გამოიყვანა. შემდეგ მიმომხილველი კლაუს ტემანი წერს, რომ თბილისის „დინამოს" ბურთი ვერც „კასტორიამ" გაუტანა და ვერც „უოტერფორდმა".

რაც შეეხება ისეთ ცნობილ კლუბს, როგორიც ჩემპიონთა თასის 1970 წლის გათამაშებაში გამარჯვებული როტერდამის „ფეიენოორდია" (ახლა მეორე ადგილზეა ჰოლანდიის ჩემპიონატში), მას გაუჭირდა დაახლოებით ისეთივე ძალის მეტოქეებთან, როგორიც თბილისელებს ჰყავდათ (კოპენჰაგენის „ჰვიდოვრე", ტამპერეს „ილვესი").

და, ბოლოს, მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ერთ სავსებით უმაგალითო, პარადოქსულ ამბავზე. სოფიის „სლავია", რომელმაც თასების მფლობელთა თასის გათამაშებიდან გამოიყვანა ვარშავის „ლეგია" და პრაღის „სპარტა", ბულგარეთის ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ აღმოჩნდა... უკანასკნელ, მეთექვსმეტე ადგილზე! პარადოქსულია ისიც, რომ ამ კლუბის კაპიტანი ჭელიაზკოვი აღიარებულ იქნა ბულგარეთის № 1 ფეხბურთელად, ხოლო „სლავიამ", სხვებთან კი წააგო, მაგრამ პირდაპირ „შავი დღე აყარა" ბულგარეთის წამყვან კლუბებს: ცსკა-„სეპტემვრიისკი ზნამეს", „ლევსკი-სპარტაკს", სოფიის „ლოკომოტივსა" და „აკადემიკს". როგორც ხედავთ, ბოლო ადგილზე მყოფი გუნდი პირველია (მარტო ამ ქალაქის კლუბებთან მოპოვებულ შედეგებს თუ გავითვალისწინებთ) სოფიაში და მას ხუმრობით „დედაქალაქის ჩემპიონს" უწოდებენ.

რა თქმა უნდა, თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალის მონაწილეთა შესაძლებლობანი ერთნაირი არ არის. არიან ფავორიტები, არიან შედარებით სუსტი კლუბებიც. თბილისის „დინამო", როგორც საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი წამყვანი გუნდი და ამასთან „ლივერპულის" მძლეველი, ექსპერტებმა ფავორიტებს მიაკუთვნეს. ახლა ისღა დაგვრჩენია, წილისყრის შედეგებს მოვუცადოთ, რომელზეც ბევრი, ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული.

გ. გამრეკელი.



ამა წლის 30-31 იანვარს და 1 თებერვალს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება თბილისის XX საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში.

მონაწილეობენ ბულგარეთის, უნგრეთის, კორეის, კუბის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ჩეხოსლოვაკიის, სსრ კავშირისა და საქართველოს უძლიერესი მოჭიდავეები.

ნაკრებ გუნდებში გამოდიან ოლიმპიურ ასპარეზობათა, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები.

1 თებერვალს — ოლიმპიურ ასპარეზობათა, მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ლევან თედიაშვილის გაცილება დიდი სპორტიდან.

შეჯიბრების დასაწყისი: დილით — 10 საათზე, საღამოს — 18 საათზე.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.

ზეახალი ვარსკვლავი

ახალგაზრდა ქართველმა ასტრონომმა რ. ინასარიძემ პეგასის თანავარსკვლავედის გალაქტიკაში აღმოაჩინა ზეახალი ვარსკვლავი. ეს მეხუთე ზეახალი ვარსკვლავია, რომელიც აღმოაჩინეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თანამშრომლებმა ასტრონომიულ დაკვირვებათა წლების მანძილზე.

ამ დღეებში ობსერვატორიაში მოვიდა ცნობა, რომ ქართველი ასტრონომის აღმოჩენა დაამტკიცა ახალი ციური ობიექტების აღმოჩენის საერთაშორისო ბიურომ.

ზეახალი ვარსკვლავი აღმოჩენის მომენტში 700-ჯერ უფრო სუსტად ანათებდა ჩვეულებრივ, მკრთალად მოციმციმე ვარსკვლავზე, რომელსაც ცის კაბადონზე შეუიარაღებელი თვალით ვხედავთ ხოლმე. ეს ფაქტი იმით აიხსნება, რომ ზეახალი ვარსკვლავი ჩვენი პლანეტისაგან ძალზე დაშორებულია. მისგან სინათლის სხივს დედამიწამდე რომ მოეღწია, 163 მილიონი წელი დასჭირდა.

(საქინფორმი).

რედაქტორი
გ. გედინეიშვილი.

ნახეთ, ხომ არ მოიგეთ?

ოფიციალური ცხრილი

საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1981 წლის პირველი გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი გაიმართა 1981 წლის 25 იანვარს ქ. თბილისში. ტირაჟში გათამაშდა 288.000 მანეთის 79 ნივთმოგება და 159.921 ფულადი მოგება. მოგება ხვდა ლატარიის სერიებისა და ბილეთების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ბილეთის №	მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა	მოგებული ნივთის ღირებულება
00012	416 *)	45 მანეთი	—
00016	098*)	მაცივარი „ზილი"	370—00
00022	406*)	25 მანეთი	—
00026	409*)	30 მანეთი	—
00035	137*)	ხალიჩა	320—00
00047	047*)	20 მანეთი	—
00049	282*)	50 მანეთი	—
00053	118*)	30 მანეთი	—
00055	317*)	25 მანეთი	—
00064	326*)	ელექტროსამოვარი	21—00
00068	244*)	100 მანეთი	—
00070	346*)	500 მანეთი	—
00071	039*)	25 მანეთი	—
00072	268*)	45 მანეთი	—
00075	336*)	30 მანეთი	—
00079	198*)	20 მანეთი	—
00081	304*)	30 მანეთი	—
00083	370*)	მტვერსასრუტი	37—00
00085	386*)	30 მანეთი	—
00123	268*)	250 მანეთი	—
00124	054*)	30 მანეთი	—
00126	008*)	100 მანეთი	—
00128	247*)	50 მანეთი	—
00136	109*)	ელექტროსამოვარი	21—00
00146	251*)	45 მანეთი	—
00151	426*)	მტვერსასრუტი	37—00
00164	019*)	30 მანეთი	—
00172	289*)	100 მანეთი	—
00178	318*)	ელექტროსამოვარი	21—00
00205	479*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
00214	402*)	25 მანეთი	—
00219	315*)	45 მანეთი	—
00222	443*)	30 მანეთი	—
00235	311*)	ფოტოაპარატი „ზენიტი"	101—00
00238	393*)	30 მანეთი	—
00246	209*)	მტვერსასრუტი	37—00
00274	106*)	30 მანეთი	—
00278	462*)	მაცივარი „მინსკი"	375—00
00281	319*)	20 მანეთი	—
00287	176*)	მაცივარი „ზილი"	370—00
00291	307*)	20 მანეთი	—
00302	448*)	20 მანეთი	—
00306	337*)	20 მანეთი	—
00333	038*)	50 მანეთი	—
00349	314*)	25 მანეთი	—
00378	463*)	20 მანეთი	—
00410	440*)	30 მანეთი	—
00414	1-500	15 მანეთი	—
00436	192*)	20 მანეთი	—
00438	024*)	50 მანეთი	—
00440	213*)	30 მანეთი	—
00460	005*)	30 მანეთი	—
00465	234*)	20 მანეთი	—
00483	079*)	30 მანეთი	—
00484	256*)	30 მანეთი	—
00496	425*)	ელექტროსამოვარი	21—00
00498	153*)	100 მანეთი	—
00499	272*)	20 მანეთი	—
00517	310*)	20 მანეთი	—
00518	292*)	30 მანეთი	—
00521	201*)	20 მანეთი	—
00534	008*)	30 მანეთი	—
00538	014*)	20 მანეთი	—
00559	437*)	მაცივარი „ზილი"	370—00
00569	356*)	25 მანეთი	—
00579	404*)	25 მანეთი	—
00583	105*)	20 მანეთი	—
00584	293*)	45 მანეთი	—
00603	188*)	45 მანეთი	—
00618	239*)	30 მანეთი	—
00621	404*)	20 მანეთი	—
00638	354*)	იმპორტული ავეჯის გარნიტური	1500—00
00639	373*)	30 მანეთი	—
00658	035*)	ელექტროსამოვარი	21—00
00655	448*)	30 მანეთი	—
00698	170*)	მაცივარი „ზილი"	370—00
00702	397*)	30 მანეთი	—
00707	110*)	50 მანეთი	—
00781	129*)	45 მანეთი	—
00784	378*)	მაცივარი „მინსკი"	375—00
00787	308*)	20 მანეთი	—
00790	227*)	ხალიჩა	320—00
00793	382*)	30 მანეთი	—
00795	312*)	მაცივარი „მინსკი"	375—00
00803	280*)	20 მანეთი	—
00808	256*)	30 მანეთი	—
00811	157*)	50 მანეთი	—
00825	016*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
00836	064*)	ელექტრომიქსერი	24—00
00837	470*)	30 მანეთი	—
00842	090*)	30 მანეთი	—
00849	314*)	ხალიჩა	320—00
00896	230*)	ავტომანქანა „ჟიგული-2106"	9100—00
00898	419*)	20 მანეთი	—
00905	270*)	ავტომანქანა „ჟიგული-2101"	6600—00
00910	493*)	20 მანეთი	—
00916	319*)	20 მანეთი	—
00937	456*)	30 მანეთი	—
00946	116*)	ელექტროსამოვარი	21—00
00973	130*)	30 მანეთი	—
00974	177*)	100 მანეთი	—
00994	311*)	მაცივარი „მინსკი"	375—00
00998	187*)	ავტომანქანა „ჟიგული-21011"	7800—00
01006	325*)	20 მანეთი	—
01014	123*)	20 მანეთი	—
01025	408*)	20 მანეთი	—
01031	446*)	20 მანეთი	—
01035	091*)	20 მანეთი	—
01050	011*)	ავტომანქანა „ჟიგული 2106"	9100—00
01055	221*)	25 მანეთი	—
01069	204*)	45 მანეთი	—
01082	206*)	20 მანეთი	—
01083	447*)	30 მანეთი	—
01092	438*)	30 მანეთი	—
01097	472*)	30 მანეთი	—
01127	314*)	მტვერსასრუტი	37—00
01137	186*)	30 მანეთი	—
01146	122*)	45 მანეთი	—
01159	056*)	20 მანეთი	—
01160	489*)	30 მანეთი	—
01179	413*)	20 მანეთი	—
01188	392*)	25 მანეთი	—
01194	310*)	30 მანეთი	—
01203	066*)	30 მანეთი	—
01212	095*)	მაცივარი „ზილი"	370—00
01218	395*)	20 მანეთი	—
01219	144*)	ხალიჩა	320—00
01220	050*)	30 მანეთი	—
01221	388*)	30 მანეთი	—
01223	488*)	50 მანეთი	—
01229	070*)	30 მანეთი	—
01230	313*)	20 მანეთი	—
01243	251*)	30 მანეთი	—
01263	112*)	ავტომანქანა „ჟიგული-2106"	9100—00
01270	470*)	20 მანეთი	—
01285	008*)	45 მანეთი	—
01287	006*)	კონდიციონერი	430—00
01301	415*)	30 მანეთი	—
01303	488*)	30 მანეთი	—
01319	261*)	30 მანეთი	—
01330	223*)	მაცივარი „ზილი"	370—00
01337	016*)	მაცივარი „მინსკი"	375—00
01358	494*)	30 მანეთი	—
01367	014*)	20 მანეთი	—
01394	473*)	20 მანეთი	—
01415	385*)	30 მანეთი	—
01418	395*)	20 მანეთი	—
01429	002*)	იმპორტული ავეჯის გარნიტური	1500—00
01444	271*)	მაცივარი „მინსკი"	375—00
01446	311*)	30 მანეთი	—
01450	238*)	30 მანეთი	—
01455	248*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
01458	461*)	ავტომანქანა „ვოლგა" გაზ-24	15000—00
01474	244*)	20 მანეთი	—
01481	127*)	50 მანეთი	—
01500	313*)	მაცივარი „მინსკი"	375—00
01509	344*)	45 მანეთი	—
01528	012*)	მაცივარი „ზილი"	370—00
01532	442*)	ფოტოაპარატი „ზენიტი"	101—00
01534	489*)	ელექტროსამოვარი	21—00
01541	411*)	30 მანეთი	—
01557	051*)	40 მანეთი	—
01571	331*)	20 მანეთი	—
01574	242*)	ელექტროსამოვარი	21—00
01576	364*)	20 მანეთი	—
01585	097*)	30 მანეთი	—
01594	213*)	20 მანეთი	—
01607	168*)	50 მანეთი	—
01609	216*)	20 მანეთი	—
01618	197*)	20 მანეთი	—
01625	013*)	25 მანეთი	—
01634	490*)	20 მანეთი	—
01638	342*)	გაზქურა „ბრესტი"	130—00
01650	119*)	50 მანეთი	—
01662	179*)	50 მანეთი	—
01672	486*)	45 მანეთი	—
01675	088*)	ხალიჩა	320—00
01686	293*)	20 მანეთი	—
01702	100*)	20 მანეთი	—
01705	467*)	20 მანეთი	—
01729	359*)	30 მანეთი	—
01739	401*)	25 მანეთი	—
01748	150*)	ელექტროსამოვარი	21—00
01757	190*)	20 მანეთი	—
01820	367*)	100 მანეთი	—
01828	040*)	30 მანეთი	—
01840	361*)	30 მანეთი	—
01877	048*)	კონდიციონერი	430—00
01881	372*)	20 მანეთი	—
01888	140*)	50 მანეთი	—
01901	007*)	20 მანეთი	—
01907	088*)	25 მანეთი	—
01931	403*)	ფოტოაპარატი „ზენიტი"	101—00
01951	245*)	25 მანეთი	—
01960	040*)	30 მანეთი	—
01965	310*)	250 მანეთი	—
01971	149*)	მაცივარი „ზილი"	370—00
01980	258*)	30 მანეთი	—
01983	269*)	20 მანეთი	—
01991	291*)	მაცივარი „მინსკი"	375—00
01995	169*)	ელექტროსამოვარი	21—00
01998	097*)	30 მანეთი	—
02008	392*)	25 მანეთი	—
02016	059*)	ავტომანქანა „ჟიგული-2101"	6600—00
02024	448*)	25 მანეთი	—
02051	425*)	25 მანეთი	—
02057	408*)	იმპორტული ავეჯის გარნიტური	1500—00
02064	360*)	20 მანეთი	—
02075	087*)	25 მანეთი	—
02087	1-500	10 მანეთი	—
02105	221*)	45 მანეთი	—
02109	107*)	30 მანეთი	—
02117	366*)	ელექტრომიქსერი	24-00
02133	336*)	20 მანეთი	—
02137	358*)	30 მანეთი	—
02168	128*)	20 მანეთი	—
02174	161*)	30 მანეთი	—
02181	270*)	45 მანეთი	—
02186	331*)	25 მანეთი	—
02198	088*)	30 მანეთი	—
02207	362*)	ელექტროსამოვარი	21—00
02235	308*)	45 მანეთი	—
02255	400*)	30 მანეთი	—
02290	296*)	ელექტროსამოვარი	21—00
02298	230*)	20 მანეთი	—
02300	494*)	45 მანეთი	—
02307	472*)	100 მანეთი	—
02311	336*)	20 მანეთი	—
02315	019*)	გაზქურა „ბრესტი"	130—00
02352	346*)	30 მანეთი	—
02365	419*)	20 მანეთი	—
02371	084*)	30 მანეთი	—
02380	399*)	30 მანეთი	—
02391	297*)	მტვერსასრუტი	37—00
02393	444*)	20 მანეთი	—
02408	406*)	მტვერსასრუტი	37—00
02416	189*)	20 მანეთი	—
02440	042*)	20 მანეთი	—
02446	265*)	100 მანეთი	—
02461	032*)	ხალიჩა	320—00
02481	468*)	ხალიჩა	320—00
02483	357*)	30 მანეთი	—
02494	298*)	45 მანეთი	—
02495	241*)	ელექტროსამოვარი	21—00
02503	243*)	30 მანეთი	—
02528	462*)	30 მანეთი	—
02550	112*)	20 მანეთი	—
02555	462*)	100 მანეთი	—
02558	222*)	20 მანეთი	—
02599	479*)	20 მანეთი	—
02601	300*)	20 მანეთი	—
02604	418*)	20 მანეთი	—
02608	277*)	45 მანეთი	—
02611	352*)	100 მანეთი	—
02615	408*)	ავტომანქანა „ჟიგული-2106"	9100—00
02617	272*)	30 მანეთი	—
02619	353*)	ელექტროსამოვარი	21—00
02648	474*)	30 მანეთი	—
02649	009*)	30 მანეთი	—
02651	412*)	20 მანეთი	—
02659	337*)	45 მანეთი	—
02665	1-500	15 მანეთი	—
02670	345*)	20 მანეთი	—
02672	385*)	45 მანეთი	—
02673	181*)	20 მანეთი	—
02677	260*)	მაცივარი „ზილი"	370—00
02691	092*)	30 მანეთი	—
02697	244*)	მტვერსასრუტი	37—00
02715	439*)	20 მანეთი	—
02733	227*)	25 მანეთი	—
02737	105*)	25 მანეთი	—
02751	389*)	100 მანეთი	—
02756	246*)	მაცივარი „მინსკი"	375—00
02838	313*)	25 მანეთი	—
02846	248*)	20 მანეთი	—
02858	402*)	ელექტროსამოვარი	21—00
02861	234*)	30 მანეთი	—
02865	327*)	50 მანეთი	—
02867	384*)	30 მანეთი	—
02870	130*)	30 მანეთი	—
02878	397*)	20 მანეთი	—
02889	001*)	ავტომანქანა „ჟიგული-21011"	7800—00
02890	056*)	მაცივარი „ზილი"	370—00
02903	188*)	30 მანეთი	—
02912	323*)	20 მანეთი	—
02917	206*)	20 მანეთი	—
02922	204*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
02924	434*)	30 მანეთი	—
02938	463*)	25 მანეთი	—
02940	486*)	50 მანეთი	—
02944	001*)	30 მანეთი	—
02958	310*)	30 მანეთი	—
02980	290*)	50 მანეთი	—
02981	488*)	100 მანეთი	—
02988	139*)	20 მანეთი	—
03002	394*)	30 მანეთი	—
03004	196*)	50 მანეთი	—
03007	123*)	30 მანეთი	—
03028	288*)	100 მანეთი	—
03037	450*)	20 მანეთი	—
03062	327*)	20 მანეთი	—
03073	201*)	20 მანეთი	—
03077	102*)	25 მანეთი	—
03088	250*)	50 მანეთი	—
03099	136*)	ელექტროსამოვარი	21—00
03103	090*)	30 მანეთი	—
03113	1-500	10 მანეთი	—
03115	245*)	20 მანეთი	—
03117	081*)	მაცივარი „მინსკი"	375—00
03122	024*)	30 მანეთი	—
03124	382*)	მტვერსასრუტი	37—00
03129	439*)	20 მანეთი	—
03140	168*)	30 მანეთი	—
03148	199*)	30 მანეთი	—
03158	405*)	20 მანეთი	—
03162	389*)	ხალიჩა	320—00
03169	418*)	მაცივარი „ზილი"	370—00
03174	325*)	20 მანეთი	—
03176	245*)	30 მანეთი	—
03195	288*)	მაცივარი „ზილი"	370—00

*) შენიშვნა: ლატარიის ამ სერიის ბილეთების დანარჩენ 499 ნომერს ხვდა 1 მანეთი მოგება თითოეულს.

თუ სვეტში — „ბილეთის ნომერი" აღნიშნულია 1—500, ეს ნიშნავს, რომ ერთნაირი მოგება ხვდა ლატარიის ბილეთების მოცემული სერიის ხუთასსავე ნომერს.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლის მიხედვით ნივთმოგებანი და ფულადი მოგებანი გაიცემა გაზეთის მორიგი ნომრის ადგილზე მიღების შემდეგ.

მოგებათა მიღების წესი

1. ლატარიის ბილეთის მფლობელს, რომელსაც ნივთმოგება ხვდა, თავისი სურვილისამებრ შეუძლია მოგებული ნივთის ღირებულება ნაღდ ფულად მიიღოს.

ლატარიის ბილეთის ფულადი მოგება, ხოლო მიმღებთა სურვილით მოგებული ნივთის ნაცვლად 100 მანეთამდე (ჩათვლით) ღირებულება შეგიძლიათ მიიღოთ საქართველოს ნებისმიერ შემნახველ სალაროში. 100 მანეთზე მეტ მოგებას გასცემენ ცენტრალური და პირველი თანრიგის შემნახველი სალაროები.

2. მოგებულ ნივთებს ლატარიის ბილეთების მფლობელთ აძლევენ ან უგზავნიან მხოლოდ ქ. თბილისის მაღაზიები.

მოგებახვედრილი ლატარიის ბილეთებით ყველა მარკის ავტომანქანების გაცემა წარმოებს მხოლოდ ქ. თბილისში.

მოგებული ნივთების მისაღებად ლატარიის ბილეთები უნდა წარედგინოს შემნახველ სალაროებს.

ლატარიის ბილეთები იმ მოგებებით, რომლებიც ქ. თბილისის მაღაზიების მეშვეობით უნდა გაიგზავნოს, წარედგინება ცენტრალურ შემნახველ სალაროებს ან პირველი თანრიგის შემნახველ სალაროებს, ამასთან ლატარიის ბილეთის მფლობელი აცნობებს გვარს, სახელს, მამის სახელსა და თავისი ბინის ზუსტ მისამართს. დიდგაბარიტიან საგნებზე ნაჩვენები უნდა იყოს აგრეთვე რკინიგზის იმ უახლოესი სადგურის სახელწოდება, რომელიც სატვირთო სიჩქარის ოპერაციებს აწარმოებს.

3. მოგებულ ნივთებს მაღაზიები გასცემენ მას შემდეგ, როცა მოგებახვედრილი ლატარიის ბილეთი შემოწმდება შემნახველ სალაროში.

4. თუ ლატარიაში გათამაშებულ ცალკეულ საგნებს წარმოება აღარ უშვებს, საგნის ღირებულება მოგებახვედრილი ლატარიის ბილეთის მფლობელს ნაღდ ფულად მიეცემა.

5. ლატარიის ბილეთები, რომლებსაც მოგება ხვდა, შეგიძლიათ წარადგინოთ გასანაღდებლად ან მოგებული ნივთის მისაღებად 1982 წლის 30 ივნისამდე (ჩათვლით). ამ ვადის გასვლის შემდეგ ლატარიის ბილეთი ძალას კარგავს და გასანაღდებლად აღარ მიიღება.

შენიშვნა: სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში ჩატარებული ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთების მფლობელთ შეუძლიათ თავიანთი ბილეთები შეამოწმონ მოგებათა ცხრილებით და მიიღონ ფულადი მოგება ან ფული მოგებული ნივთის ნაცვლად ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის, აგრეთვე ქალაქების სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, რუსთავის, ქუთაისის, ზუგდიდის, ფოთის, წყალტუბოს და გაგრის ცენტრალურ შემნახველ სალაროებში.

აღნიშნული ცენტრალური შემნახველი სალაროები მოგებული ნივთის გამოსათხოვად მიიღებენ აგრეთვე ლატარიის ბილეთებს, რომლებსაც მოგება ხვდა.

ლატარიის ბილეთების შემოწმება შეიძლება აგრეთვე ქ. თბილისის ყველა ცენტრალურ შემნახველ სალაროში და სხვა დიდი ქალაქების ცენტრალურ შემნახველ სალაროებში.

კომისიის თავმჯდომარე — ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე — **უ. ვ. ბედიაშვილი.**

თავმჯდომარის მოადგილე — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი — **მ. შ. ბურდული.**

პასუხისმგებელი მდივანი — სსრ კავშირის სახშრომშემნახველსალაროების საქართველოს მთავარი რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი ექსპერტი — **ა. ს. გიორგაძე.**

ტელევიზია

29 იანვარი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.05 — „მოამბე", 10.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მუქი სახეზე", 11.50 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბედნიერი რომ იყო"..., 13.00 — ტელეკურსი ფიზიკაში, 13.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 13.40 — აბიტურიენტთათვის — ბიოლოგია, 17.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.15 — „თეატრი და ბავშვები", 18.15 — განცხადებები, 18.20 — კალათბურთი კორაჩის თასზე: მოსკოვის „დინამო" — საფრანგეთის „ორტეზი". მეორე ტაიმი. რეპორტაჟი მოსკოვიდან, 19.00 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი (მ.), 19.30 — „სკკპ 26-ე ყრილობის შესახვედრად — ყრილობის დელეგატი, 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „მოამბე", 20.30 — „საესტრადო პანორამა", 21.05 — „ყამირი" — სატელევიზიო მრავალსერიიანი დოკუმენტური ფილმი ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის მიხედვით. მეორე სერია. პრემიერა (მ.), 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — სპორტული პროგრამა, 1. პრეტენდენტთა ფინალური მატჩი, 2. „სპორტული კალეიდოსკოპი", 23.30 — „მოამბე". (ღამის გამოშვება).

მეორე პროგრამით: 18.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მიწაი შინი", 18.40 — განცხადებები, 18.45 — მოსწავლეთათვის ქართული ენა, 19.15 — „ქართული ოპერეტა კიევში".

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 02047 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, კოშარაულის 29.